პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

კვირა, 12 თებერვალი, 1950 წ. № 33 (8593). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთშია:

საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მაღალი დონისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად (1-ლი გვერდი).
საბჭოთა მუსიკის აყვავებისათვის (1-ლი გვერდი).
მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირები (მე-2 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — კარგი საჩუქარი მკითხველს (მე-3 გვერდი).
ა. ადამია — ხანდი (მე-3 და მე-4 გვერდი).
ნაკლოვანებანი უნდა გამოსწორდეს (მე-3 გვერდი).
სასოფლო საბჭო, რომელიც ცხოვრებას ჩამორჩა (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

# საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მაღალი დონისათვის

მშრომელთა შორის პოლიტიკურ მუშაობას, როგორც მასებთან კავშირის განმტკიცების მძლავრ საშუალებას, ბოლშევიკების პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა და აქცევს. მასებში პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა ახლა, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ამ უდიდესი პოლიტიკური კამპანიის წარმატებით ჩატარება დიდად არის დამოკიდებული ამომრჩეველთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ხარისხზე, იმაზე, თუ როგორ გამოიყენებენ პარტიული ორგანიზაციები პოლიტიკური მუშაობის მთელ მდიდარ არსენალს ამომრჩეველთა დასარაზმავად.

ახლა, როცა უკვე შექმნილია და მუშაობენ საარჩევნო უბნები, საგიტაციო-მასობრივი მუშაობის სიმძიმის ცენტრი სწორედ საარჩევნო უბნებში უნდა გადავიტანოთ. ამ უბნებთან შექმნილი აგიტპუნქტები უნდა გახდნენ ამომრჩეველთა შორის საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მძლავრი კერები.

პარტიული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა აგიტპუნქტების მუშაობას სათანადო ყურადღებას აქცევს. აგიტპუნქტებშიც გაჩაღებულია პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა. მაგალითისათვის რამდენიმე აგიტპუნქტს დავასახელებთ.

სანიმუშოდ მუშაობს აგიტპუნქტი ჭიათურის სტალინის სახელობის მაღაროსთან. აგიტპუნქტს თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს აქტივის ფართო წრე. დაწესებულია აგიტატორთა მორიგეობა. ისინი ამომრჩეველთა შორის სისტემატურად აწყობენ საუბრებს. საუბრების თემატიკა გამოირჩევა მრავალფეროვნებით. არჩევნების დებულება, საბჭოთა კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები, მისი უპირატესობა ბურჟუაზიული კონსტიტუციის წინაშე, ბოლშევიკების პარტია, როგორც ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, საერთაშორისო მდგომარეობა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმატებანი, ჭიათურის წარსული, აწმყო და მომავალი, მაღაროს მოწინავე ადამიანთა შრომითი საქმეები და სხვა — აი ის საკითხები, რომელთა გარშემო აწყობენ საუბრებს ამომრჩეველთა შორის აქაური აგიტატორები. აგიტპუნქტში ყოველთვის არიან როგორც მუშები, ისე დიასახლისები. თვითეული მათგანი პასუხებს იღებს მისთვის საინტერესო საკითხებზე. აგიტპუნქტი მიმზიდველად არის მორთული, უზრუნველყოფილია საარჩევნო ლიტერატურით, ახალი ჟურნალ-გაზეთებით, გასართობებით.

საინტერესოდ მუშაობს აგიტპუნქტი ტყიბულქვანახშირის ტრესტის მოლოტოვის სახელობის შახტთან. აგიტპუნქტი კარგად იყენებს საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ყველა ფორმას, ამომრჩევლებს სისტემატურად უჩვენებს საინტერესო საბჭოთა კინოსურათებს, აწყობს მოხუც მეშახტე ამომრჩეველთა საუბრებს ახალგაზრდობასთან.

მრავლად შეიძლება ისეთი აგიტპუნქტების დასახელება, რომლებიც თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე დგანან და ნამდვილად წარმოადგენენ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის კერებს.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აგიტპუნქტები ყველგან კარგად მუშაობდნენ, რომ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ყველა ამომრჩეველს მოიცავდეს. აქა-იქ გვხვდება მასებში პოლიტიკური მუშაობის შეუფასებლობის ფაქტები. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია მხოლოდ აგიტატორთა შერჩევით და აგიტპუნქტის შექმნით დაკმაყოფილდა, ხოლო თუ როგორ მუშაობენ აგიტპუნქტები და აგიტატორები, ეს აღარ აინტერესებს. სრულიად არადამაკმაყოფილებლად დგას საგიტაციო-მასობრივი მუშაობა ტყვარჩელის № 3 შახტში, გუდაუთის და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებში.

შეუწყნარებელია შევურიგდეთ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის შეუფასებლობას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა ამომრჩეველს, რომლის პოლიტიკური დონე უმაგალითოდ გაიზარდა, ბევრი რამ აინტერესებს. პარტიული ორგანიზაციები და აგიტატორები ვალდებული არიან ამომრჩეველთა ეს ინტერესები გაითვალისწინონ, საგიტაციო-მასობრივი მუშაობა გასწიონ უკლებლივ ყველა ამომრჩეველთან.

პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანონ საარჩევნო უბნებში, სადაც ამომრჩევლებმა უნდა განახორციელონ თავიანთი მოქალაქეობრივი უფლება.

თვითეულ პარტიულ ორგანიზაციაში ათობით აგიტატორია. ამ კადრების გონივრული, უნარიანი გამოყენება-განაწილება პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგიტატორებისადმი ხელმძღვანელობასა და დახმარებას. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ განუწყვეტლივ მაღლდებოდეს აგიტატორთა პოლიტიკური დონე, რომ ისინი ყველა ახალი მოვლენის კურსში იყვნენ, თვითეულ მათგანს შეეძლოს ამომრჩეველთა შეკითხვებზე ნათელი, გარკვეული პასუხის გაცემა, საუბრის დროს ზოგადი საკითხების გონივრული დაკავშირება კონკრეტულთან. აგიტაცია უნდა გამოირჩეოდეს იდეურობით, მებრძოლი ხასიათით.

საგიტაციო საუბრების თემატიკის მრავალფეროვნება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ამ თემატიკაში გამოხატულებას უნდა პოულობდეს ყველა საინტერესო, აქტუალური საკითხი. საჭიროა ამომრჩევლებს ფართოდ გავაცნოთ ის გრანდიოზული მუშაობა, რასაც ეწევა ბოლშევიკების პარტია ჩვენი ქვეყნის სამხედრო-ეკონომიური ძლიერების გასამტკიცებლად, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, კომუნიზმის ასაშენებლად; განვუმარტოთ მათ საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის არსი, მისი როლი და დამსახურება მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარების საქმეში, ახალი ომის გამჩაღებელთა — ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიული გეგმების მხილებისა და ჩაშლის საქმეში.

ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად, არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის მშრომელთა დასარაზმავად პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ყველა საშუალება: ლექციები, მოხსენებანი, საუბრები, რადიო, კინო, მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები, შეხვედრები წარჩინებულ ადამიანებთან, აგიტმხატვრული ბრიგადები, პლაკატები, ლოზუნგები, ჩვენი მიღწევების ამსახველი დიაგრამები.

საარჩევნო კამპანია ახალ, პასუხსაგებ ეტაპში შევიდა. ყველგან უმაგალითო პოლიტიკური აქტივობით მიმდინარეობს მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირები, რომლებიც იხილავენ მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა კრებებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულ კანდიდატურებს. წინასაარჩევნო საოლქო თათბირები ერთსულოვნად, მხურვალედ უჭერენ მხარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად დიდი სტალინის დასახელებას. ამ თათბირებზე გაისმის ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის მგზნებარე სიტყვები. ეს თათბირები მხარს უჭერენ დეპუტატობის კანდიდატებად ამხანაგ სტალინის თანამებრძოლთა დასახელებას, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა, კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა დასახელებას. ეს პარტიულ ორგანიზაციებს აკისრებს ახალ მოვალეობას — ფართოდ გააცნონ ამომრჩევლებს დასახელებულ კანდიდატთა დამსახურება პარტიისა და ხალხის წინაშე.

არჩევნებისათვის მზადებამ შედეგად უნდა მოგვცეს მასებთან პარტიის კავშირის შემდგომი განმტკიცება, მშრომელთა შემდგომი შემჭიდროება ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, მათი დარაზმვა ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ყველა პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანის, დიდი სტალინის ყველა მითითების წარმატებით შესრულებისათვის.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### არმიის გენერალ ვ. ი. ჩუიკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

არმიის გენერალ ვ. ი. ჩუიკოვის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით და სახელმწიფოსა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წინაშე მისი დამსახურების გამო ვასილ ივანეს-ძე **ჩუიკოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. შვერნიკი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი.
1950 წ. 11 თებერვალი.



„გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ!"
მოქანდაკე ე. ვ. ვუჩეტიჩისა და თანაავტორ მოქანდაკეთა ბრიგადის პ. ზ. ფრიდმანის, პ. პ. იაცინოსა და გ. ნ. პოსტნიკოვის მორელიეფი.
გამოფენა „ი. ბ. სტალინი სახვით ხელოვნებაში".

საქდესის ფოტოქრონიკა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად

## ადიდებენ ქვანახშირის ამოღებას

**ტყიბული.** (საქ. კორ.). ტყიბულის შახტებში ფართოდ ჩაღდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. სტალინის სახელობის შახტის ასობით მნგრეველი, მებიგე და მტვირთავი არჩევნებისადმი მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე დგას. მნგრეველთა კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც ო. ცეცხლაძე ხელმძღვანელობს, ყოველდღე ერთნახევარ-ორ ნორმას ასრულებს.

მოწინავე სტახანოველი მეშახტე შალვა ფურცხვანიძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მისი დასახელების მეორე დღეს, 5 თებერვალს სტახანოვურ ვახტზე დადგა, ცვლაში 35 ტონა ქვანახშირი მოანგრია და დავალება 235 პროცენტით გაანაღდა. მტვირთავმა ე. სახელაშვილმა თებერვლის პირველ ხუთდღიურში 18 დღის ნორმა გამოიმუშავა.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ და დღიური გამომუშავების ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ აგრეთვე საპატიო მეშახტეები ხანიკაშვილი, ღვინეფაძე, გვეტაძე და სხვები. ტყიბულელი მეშახტეები ახალი საწარმოო საჩუქრებით აღნიშნავენ არჩევნების დღეს.

## მელიანდაგეები სტახანოვურ ვახტზე

თბილისის სალიანდაგო დისტანციის კოლექტივმა არჩევნების აღსანიშნავად ვალდებულება იკისრა სანიმუშო ტექნიკურ მდგომარეობაში იქონიოს ლიანდაგი და არ დაუშვას მატარებელთა მოძრაობის შეფერხება. თებერვლის პირველ ხუთდღიურში დისტანციის მელიანდაგეთა შორის კარგი მუშაობით თავი გამოიჩინეს ლიანდაგის შემომვლელებმა ამხ. დათუაშვილმა, პოლამაზაშვილმა და უსანეთაშვილმა.

სალიანდაგო დისტანციის სახელოსნოს მჭედელი ამხ. კობაიძე ერთ-ერთი პირველი დადგა არჩევნების აღსანიშნავ ვახტზე და იკისრა უზრუნველყოს მელიანდაგეები რელსების დამჭერი ჩანგლებითა და სხვა ხელსაწყოებით.

## გორის საფარო ქარხნის მოწინავე ადამიანები

**გორი.** (საქ. კორ.). გორის სატარო ქარხანა ამზადებს კასრებსა და ყუთებს ღვინის და სხვა პროდუქციისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში ქარხნის კოლექტივმა მნიშვნელოვან საწარმოო წარმატებას მიაღწია: იანვარში კასრების გამოშვების გეგმა შესრულებულია 160 პროცენტით, ხოლო საყუთე კომპლექტების დამზადების გეგმა — 165,5 პროცენტით.

კოლექტივის წარმატებას დიდად უწყობენ ხელს საამქროთა ოსტატები ი. ბიძინაშვილი, კ. ლობჟანიძე, ტექნიკური ხელმძღვანელი ინჟინერი კ. ლიაძე და სხვები. არჩევნების აღსანიშნავ შეჯიბრებაში სანიმუშო მაჩვენებლებს აღწევენ სტახანოველი მუშები ამხ. ათანელაშვილი, მღებრიშვილი, რომანენკო და სხვ.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა 1950 წლის პირველი კვარტალის გეგმის შესრულება უზრუნველყოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 29 წლისთავის—25 თებერვლისათვის.

## ბრძოლა თუჯის მინახრაკთან

თუჯის სხმულზე მინახრაკთან ბრძოლა ლითონსამსხმელო ტექნიკაში ერთ-ერთ სერიოზულ საკითხად არის მიჩნეული. ეს მინახრაკი, იმის მიხედვით, თუ როგორი კონსისტენციის ყალიბებშიასხამენ ადუღებულ ლითონს, სად და როგორ ამინდში, სხვადასხვანაირია, და ამის გამო მინახრაკის სალიკვიდაციოდ ერთი უნივერსალური საშუალების გამომუშავება ძნელი ხდება. მინახრაკს კი თუჯის სხმული იღებს ყალიბში (ქვიშა-მიწისაგან გამზადებულ ფორმაში). ყალიბში ჩასხმისას ადუღებულ ლითონს აცხვება ქვიშა, რომელიც დიდი ტემპერატურის ზეგავლენით განიცდის ქიმიურ გადაგვარებას და სხმულზე ქერქად რჩება კვარცის შენაერთი.

შემდეგ, როცა სხმული დასამუშავებლად მიდის ხარატებთან, კვარცის ქერქის ლითონისაგან მოშორება ძნელდება, ვინაიდან კვარცი მალე აჩლუნგებს საჭრისებს, იწვევს სახარატო დაზგათა შრომის ნაყოფიერების შემცირებას.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სამსხმელო საამქროში შეუდგნენ ამ საკითხის შესწავლას და მინახრაკის სალიკვიდაციო ღონისძიებათა გამომუშავებას. ამ საქმეში მონაწილეობენ ინჟინერი ი. იმერლიშვილი (საამქროს უფროსი), ტექნოლოგი შ. არუთინოვი და საამქროს მოწინავე მეყალიბეები თ. ლორთქიფანიძე და კ. ბახტაძე. მათ მიზნად დაისახეს ეს მუშაობა დაამთავრონ თებერვალში და მარტიდან მიაღწიონ მინახრაკის საგრძნობ შემცირებას.

ამასთან არჩევნების დღის აღსანიშნავად საამქროს კოლექტივმა გადაწყვიტა თითბრის სხმულის დაყალიბება მთლიანად გადაიყვანოს მუდმივ (ლითონის) ყალიბებზე. ამჟამად უკვე განხორციელებულია 27 სახის საორთქლმავლო დეტალის მისაღებად თითბრის სხმულის დაყალიბება მუდმივ ყალიბებში.

# საბჭოთა მუსიკის აყვავებისათვის!

### საუბარი საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის გენერალურ მდივანთან ტ. ნ. ხრენიკოვთან

ორი წლის წინათ, 1948 წლის 11 თებერვალს, გამოქვეყნდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება „ვ. მურადელის ოპერის „დიადი მეგობრობის" შესახებ".

ეს ღირსშესანიშნავი თარიღი საბჭოთა კულტურის მატიანეში შევიდა როგორც ახალი ფურცელი ჩვენი ქვეყნის მუსიკის განვითარების ისტორიაში. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, რომელმაც გამოააშკარავა საბჭოთა მუსიკის პრინციპული ნაკლოვანებანი, აღაფრთოვანა კომპოზიტორები და მძლავრი სტიმული გახდა ჩვენი ეპოქის, ჩვენი ხალხის ღირსი ნაწარმოებების შესაქმნელად.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების შემდეგ განვლილი ორი წელი ხასიათდება სტალინური ეპოქის სიდიადითა და ჰეროიკით გამსჭვალულ ახალ ნაწარმოებებზე საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებითი მუშაობით.

1949 წლის ბოლოს შედგა სსრ კავშირის საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის გამგეობის III პლენუმი, რომელმაც შეაჯამა კომპოზიტორთა ორი წლის მუშაობის შედეგები. ეს წლები აღნიშნულია კომპოზიტორების დიდი შემოქმედებითი აქტივობით ყველა ჟანრში.

საბჭოთა კომპოზიტორებმა გადაჭრით თქვეს უარი აბსტრაქტულ, „წმინდა" სიმფონიზმზე და ქმნიან ღრმად იდეურ ნაწარმოებთ, რომლებიც წარმოსახავენ საბჭოთა სინამდვილის თემებსა და სახეებს. ასეთებია, მაგალითად, დ. შოსტაკოვიჩის ორატორია „ტყის სიმღერა", მიძღვნილი ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმისადმი, ა. მანევიჩის კანტატა „მშვიდობისათვის", ე. ჟუკოვსკის ვოკალურ-სიმფონიური პოემა „იდიდე, სამშობლოვ ჩემო", შ. მშველიძის ორატორია „კავკასიონი", რომელიც მიძღვნილია ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში ფაშისტური არმიის გახადგურებისადმი.

საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის III პლენუმზე ჩვენი ქვეყნის მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცა ახალ ოპერებს: ე. ჟუკოვსკის — „მთელი გულით", დ. კაბალევსკის — „ტარასის ოჯახი", ი. მეიტუსის — „ახალგაზრდა გვარდია".

ჩვენი ქვეყნის თეატრების რეპერტუარი გასული ორი წლის განმავლობაში შეივსო მთელი რიგი მაღალმხატვრული ბალეტებით და მუსიკალური კომედიებით. მნიშვნელოვანი მიღწევებია საბჭოთა მასობრივი სიმღერის დარგში. საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერებს მღერიან მთელ მსოფლიოში, ისინი გაისმა, კერძოდ, საერთაშორისო ფესტივალებზე 1949 წელს, როგორც მოწოდება მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების დარაზმვისათვის.

საბჭოთა მუსიკის წარმატებანი გასული ორი წლის განმავლობაში უეჭველია. მაგრამ საბჭოთა კომპოზიტორების ზოგიერთ ნაწარმოებში კიდევ შეიძლება ვნახოთ ფორმალიზმის გადმონაშთები. 1949 წლის ნაწარმოებთ ცოტა ნაკლი როდი აქვთ, რაც აიხსნება კომპოზიტორების მიერ სოციალისტური რეალიზმის არსის ზერელე თუ ცალმხრივი გაგებით.

საბჭოთა კომპოზიტორების წინაშე დასახულია მთავარი ამოცანა — ისეთ მუსიკალურ ნაწარმოებთა შექმნა, რომლებიც განირჩევიან იდეური შინაარსისა და მხატვრული ფორმის მთლიანობით.

ჩვენი მუსიკა განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში ვითარდება. პარტია, დიდი სტალინი დაუღალავად ეხმარებიან საბჭოთა კომპოზიტორებს. საბჭოთა კომპოზიტორების დაძაბულ შრომაზე, ჩვენი ქვეყნის წინაშე, ხალხის წინაშე თავიანთი მოვალეობის სრულ შეგნებასა და თავისი შემოქმედებისათვის დიდ პასუხისმგებლობაზე დამოკიდებულია ჩვენი მუსიკის მიერ საყოველთაო სახალხო აღიარების მალე მოპოვება. (საქდესი).

## მილიონერი ბრიგადები

**მახარაძე.** (საქ. კორ.). ჩაი და ციტრუსები რაიონის კოლმეურნეობათა შემოსავლისა და კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების დაუშრეტელი წყაროა. რაიონში მრავლდება ისეთი ბრიგადები, რომელთა შემოსავალმა მილიონ მანეთს გადააჭარბა.

სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეთერთმეტე ბრიგადამ, რომელსაც შოთა ქუტიძე ხელმძღვანელობს, 1949 წელს ჩაისა და ციტრუსებიდან 1 277.720 მანეთი შემოსავალი მიიღო, აქედან 1.141.720 მანეთი — მარტო ჩაიდან. 1.058.000 მანეთი შემოსავალი მიღო ამავე კოლმეურნეობის მეთვრამეტე ბრიგადამ, რომელსაც ვალერიან ბაბილოძე ხელმძღვანელობს.

მილიონ მანეთს აღემატება აგრეთვე სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსანი კოლმეურნეობის იმ ბრიგადის შემოსავალი, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი კარლო გორგილაძე ხელმძღვანელობს.

## 3 600.000 მანეთი ტყიბულელ მეშახტეებს

**ტყიბული.** (საქ. კორ.). ტყიბულის შახტებში შეუდგნენ მეშახტეებისათვის ერთდროული ფულადი ჯილდოების მიცემას დამსახურებისა და უწყვეტი მუშაობისათვის.

ლენინის სახელობის შახტის მუშამოსამსახურეებს უკვე მიეცათ 1.200.000 მანეთი. სოციალისტური შრომის გმირმა, სტახანოველმა მთხრელმა ა. ქასრაძემ მიიღო 3.876 მანეთი. ამდენივე მიიღეს ძველმა, გამოცდილმა მეშახტეებმა მნგრეველებმა ს. გვენეტაძემ, ა. დარსაძემ, დ. გოჩელაშვილმა, შ. ფურცხვანიძემ და სხვ.

სულ ტყიბულქვანახშირის ტრესტის შახტებში მომუშავე მეშახტეებმა მიიღეს 3.600.000-ზე მეტი მანეთი ფულადი ჯილდო.

# მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირები

## ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის საქალაქო № 126 საარჩევნო ოლქი

**სოხუმი.** (საქ. კორ.). აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში შედგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის საქალაქო № 126 საარჩევნო ოლქში შემავალი ქალაქ სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის რაიონების საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა წინასაარჩევნო საოლქო თათბირი.

თათბირი გახსნა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. ი. ბოცვაძემ.

სიტყვა აიღო საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ა. ქანდარიამ.

—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად, — ამბობს იგი,—მშრომელებმა დაასახელეს სამშობლოსა და ხალხის ერთგულესი ადამიანები. რკინიგზის სოხუმის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა, № 1 საავადმყოფო-პოლიკლინიკის გაერთიანების მედიცინის მუშაკებმა და მუშა-მოსამსახურეებმა, გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის სტალინის, ალახაძის, კაგანოვიჩის, ლიძავის კომინტერნის, გუდაუთის რაიონის აბგარჰუკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობების, გეგეძირხვის კოლმეურნეობა „ალაშრის" წევრებმა თავიანთ კრებებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სს რესპუბლიკიდან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის საქალაქო № 126 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ალექსანდრე ეპიფანეს-ძე თოფურიძე.

ამხ. ა. თოფურიძე მთელი რიგი წლების მანძილზე აფხაზეთში მუშაობდა ხელმძღვანელ პოსტებზე. მან თავისი მუშაობით თავი გამოიჩინა, როგორც ლენინ-სტალინის პარტიის უერთგულესმა შვილმა.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. ს. არშბამ განაცხადა:

— სოხუმის № 1 და № 2 პოლიკლინიკა-საავადმყოფოების კოლექტივებმა დამავალეს გთხოვოთ მხარი დაუჭიროთ ა. ე. თოფურიძის კანდიდატურას.

რკინიგზის სოხუმის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივის სახელით ლუნინელმა მემანქანემ გ. კრაველაშვილმა მოუწოდა თათბირის დამსწრეებს მხარი დაუჭირონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის მათ მიერ წამოყენებულ კანდიდატს — ამხ. თოფურიძეს.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს გაგრის რაიონის სოფელ ხეივნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ჭანიამ, გუდაუთის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის სტახანოველმა ნ. კუბეციამ, ახალი ათონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის აგრონომმა ე. აქშბამ და სხვ.

თათბირმა მიიღო რეზოლუცია და აირჩია ნდობით აღჭურვილი პირები.

მქუხარე ხანგრძლივი ტაშით მიღებულ იქნა მისალმება დიდი სტალინისადმი.

## ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გეგეჭკორის № 130 საარჩევნო ოლქი

**გეგეჭკორი.** (საქ. კორ.). რაიონის კულტურის სახლში შედგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გეგეჭკორის № 130 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო საოლქო თათბირი, რომელსაც დაესწრო გეგეჭკორის, წულუკიძის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების მშრომელთა 496 წარმომადგენელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ მოხსენება გააკეთა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. დ. ჯანჯღავამ. მან გეგეჭკორის რაიონის მშრომელთა მიერ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებული სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ალექსის-ძე ხორავა დაახასიათა როგორც საბჭოთა თეატრალური ხელოვნების გამოჩენილი ოსტატი და აქტიური საზოგადო მოღვაწე.

სიტყვას იღებს სოფელ ლეხაინდრაოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ცნობილი მეჩაიე მარგო ჯღარკავა.

— ჩვენი კოლმეურნეობის წევრებმა, — თქვა მან,—წინასაარჩევნო კრებაზე ერთსულოვნად წამოაყენეს ამხ. აკაკი ხორავა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. მოგიწოდებთ ყველას — 12 მარტს ერთსულოვნად მისცეთ ხმა ჩვენს ღირსეულ კანდიდატს.

პატრიოტული სიტყვებით მიმართეს თათბირის მონაწილეებს სოფელ გაჭედილის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ილარიონ წულაიამ, ქ. წულუკიძის ძაფსალები ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ვახტანგ ბერაძემ, წულუკიძის რაიონის სოფელ გოჩაჯიხაიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გიორგი აბზიანიძემ, პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ მიხეილ თოდუამ, წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ქიშვარდი ციმიტიამ და სხვებმა.

საოლქო თათბირმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია და დაამტკიცა ნდობით აღჭურვილი პირები.

## ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქედის № 420 საარჩევნო ოლქი

**ქედა.** (საქ. კორ.). ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქედის № 420 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირზე, რომელიც ამ დღეებში შედგა, სიტყვა წარმოთქვა მასწავლებელმა ა. ერემეიშვილმა. მან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქედის № 420 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ ამხ. მაქსიმე კონსტანტინეს-ძე ბალავაძეს მხურვალედ დაუჭირა მხარი. მასწავლებლები მ. კაკაბაძე, ჯ. წულაია, კოლმეურნე ა. მიქელაძე და სხვები შეუერთდნენ ამ წინადადებას. თათბირმა დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სატრანსპორტო განყოფილების გამგე ამხ. მაქსიმე კონსტანტინეს-ძე ბალავაძე.

## ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ხულოს № 421 საარჩევნო ოლქი

**ხულო.** (საქ. კორ.). შედგა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ხულოს № 421 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირი.

თათბირი გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. მ. კალანდაძემ, რომელმაც განაცხადა:

— რაიონის მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად უდიდესი სიხარულით დაასახელეს ხალხთა საყვარელი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი. მათ ერთსულოვნად დაასახელეს აგრეთვე ამხანაგების მოლოტოვის, მალენკოვის, ბერიას, ხრუშჩოვის, შვერნიკის და საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ჩარკვიანის კანდიდატურები.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ხულოს № 421 საარჩევნო ოლქში სოფელ დიოკნისის „პარიზის კომუნის", ადამეების ორჯონიკიძის სახელობის და სხვა კოლმეურნეობების წევრებმა დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს აჭარის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მამია ალექსის-ძე გოგოლიშვილი. მოგიწოდებთ მხარი დაუჭიროთ დასახელებულ კანდიდატებს.

თათბირზე გამოსულმა სოფელ პაქსაძეების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. პაქსაძემ, სოფელ ნეკეიძეების მე-3 ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. ვანაძემ, სოფელ ოქტომბრის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა მ. რიყვაძემ, რიყეთის ტერიტორიული პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა ხ. კოჩალიძემ და სხვებმა სიხარულით აღსავსე სიტყვებით გამოხატეს უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი. მათ მხარი დაუჭირეს აგრეთვე ამხ. მამია ალექსის-ძე გოგოლიშვილის კანდიდატურას.

თათბირმა ერთხმად მიღებული რეზოლუციით მხარი დაუჭირა წამოყენებულ კანდიდატებს.

## ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის ზღვისპირის № 415 საარჩევნო ოლქი

**ბათუმი.** (საქ. კორ.). ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის ზღვისპირის № 415 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირი გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანმა ამხ. ნ. ნიკოლაიშვილმა.

სიტყვა აიღო სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კოლექტივის წარმომადგენელმა ამხ. ა. ივანოვმა. მან აღნიშნა, რომ ქარხნის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბათუმის ზღვისპირის № 415 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. როსტომ სიმონის-ძე შადური. ამხ. ივანოვმა თათბირის მონაწილეებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ ამხ. რ. ს. შადურის კანდიდატურას.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ბათუმის ციტრუსკომბინატის კოლექტივიდან ამხ. გ. მამინაიშვილმა, მთავარნავთგასაღების ბათუმის სამმართველოდან ინჟინერმა ამხ. დ. სობოლევმა, ბათუმის სავაგონო დეპოდან ნ. ელისტრატოვმა.

თათბირმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია და დაამტკიცა ნდობით აღჭურვილი პირები.

## ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ზნაურის № 619 საარჩევნო ოლქი

**ზნაური.** (საქ. კორ.). ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ზნაურის № 619 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების თათბირზე სიტყვა მიეცა სოფელ ვახტანის კოლმეურნეობის სტახანოველ გ. ზასეევს. იგი ამბობს, რომ ვახტანელმა კოლმეურნეებმა წინასაარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს ძველი ბოლშევიკი, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის დაუღალავი მებრძოლი ამხ. ივანე პროკოფის-ძე ვაცეკი. ამხ. ზასეევმა სთხოვა თათბირის მონაწილეებს მხარი დაუჭირონ ამხ. ვაცეკის კანდიდატურას.

ამ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სოფელ ველების კოლმეურნეობა „სტახანოველის" პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. პ. ჯიოევმა, სოფელ ივლეთის კოლმეურნეობის სტახანოველმა ა. გოგინაშვილმა, სოფელ თიღვის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. თინიკურმა და სხვებმა.

თათბირმა მიიღო რეზოლუცია და აირჩია ნდობით აღჭურვილი პირები.

## ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჯავის № 621 საარჩევნო ოლქი

**ჯავა.** (საქ. კორ.). ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჯავის № 621 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირზე, რომელიც გახსნა მშრომელთა დეპუტატების ჯავის რაისაბჭოს აღმასკომის მდივანმა ამხ. მ. ხარებოვამ, სიტყვა წარმოთქვა ამავე რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ქ. სანაკოევამ. მან წინადადება შეიტანა, რომ თათბირის მონაწილეებმა მხარი დაუჭირონ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ილია დავითის-ძე კულუხოვს.

სიტყვები წარმოთქვეს და ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს სოფელ ქვემო როკის კოლმეურნეობის სტახანოველმა ნ. პლიევმა, სოფელ ხამფალგომის კოლმეურნეობის წევრმა გ. ჯიოევმა და სხვებმა.

თათბირმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც სთხოვა ამხ. ი. დ. კულუხოვს კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჯავის № 621 საარჩევნო ოლქში.

## ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 617 საარჩევნო ოლქი

**სტალინირი.** (საქ. კორ.). ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სტალინირის საქალაქო № 617 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირი გახსნა ხელოვნების მუშაკმა ზ. ჩაბიევამ.

სიტყვა ითხოვა სტალინირის ხეტყის კომბინატის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ზ. გაზაევმა. მან კომბინატის კოლექტივის დავალებით თათბირს სთხოვა მხარი დაუჭიროს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. აკაკი გაბრიელის-ძე იმნაძის წამოყენებას.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს კომპოზიტორმა ბ. გალაევმა, სტალინირის რაიონის სოფელ თამარაშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ი. დათაშვილმა, პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა თ. ცხოვრებოვამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა დოცენტმა ვ. აბაევმა, სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენელმა ა. ხვოლესმა.

თათბირმა თავისი გადაწყვეტილებით სთხოვა ამხ. ა. გ. იმნაძეს დათანხმდეს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სტალინირის საქალაქო № 617 საარჩევნო ოლქში.

თათბირმა აირჩია ნდობით აღჭურვილი პირები წამოყენებული კანდიდატის სასარგებლოდ აგიტაციის გასაწევად.

## ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ფოთის № 128 საარჩევნო ოლქი

**ფოთი.** (საქ. კორ.). შედგა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ფოთის № 128 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირი. თათბირი გახსნა მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო საბჭოს დეპუტატმა ბ. გოგოლიშვილმა.

სიტყვა წარმოთქვა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ფოთის № 128 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ვ. გუგუნავამ, რომელმაც თათბირის მონაწილეებს მოუთხრო იმ უმაგალითო შრომით და პოლიტიკურ აღმავლობაზე, რამაც მოიცვა არჩევნებისათვის მზადების დღეებში საარჩევნო ოლქში შემავალი რაიონების მშრომელები. მომხსენებელმა დამსწრეთ მოუწოდა ხმა მისცენ მშრომელთა მიერ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ ამხ. გ. ნ. კოკაიას.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ვ. გაბელაიამ (აბაშა), ივ. ცახადაიამ (ხობი), ნ. შონიამ (ცხაკაია), ინჟინერმა თოფურიამ (ფოთი) და სხვ.

თათბირმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც სთხოვა ამხ. გ. კოკაიას დათანხმდეს კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ფოთის № 128 საარჩევნო ოლქში.

დასასრულ თათბირმა დაამტკიცა ნდობით აღჭურვილი პირები.

## ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სტალინირის სასოფლო № 618 საარჩევნო ოლქი

**სტალინირი.** (საქ. კორ.). ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სტალინირის სასოფლო № 618 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ წინასაარჩევნო საოლქო თათბირზე.

სოფელ ერედვის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ლენინის ორდენოსანმა ამხ. ი. ქრისტესიაშვილმა განაცხადა:

— ჩვენი კოლმეურნეობის წევრებმა დამავალეს გთხოვოთ მხარი დაუჭიროთ რაიონის მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე წამოყენებულ დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგეს ამხ. თამარ თევდორეს ასულ სანაკოევას.

სოფელ ვანათის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების" თავმჯდომარემ ამხ. გ. მახნიაშვილმა, სოფელ არსევის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. კაზიევმა და სხვებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. თ. თ. სანაკოევას დასახელებას.

## ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქობულეთის № 416 საარჩევნო ოლქი

**ქობულეთი.** (საქ. კორ.). ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქობულეთის № 416 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირი გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ე. ტაკიძემ.

სიტყვა წარმოთქვა სტალინის სახელობის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის წარმომადგენელმა ამხ. გ. ვაჩეიშვილმა. მან განაცხადა, რომ აჭარის ასს რესპუბლიკიდან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქობულეთის № 416 საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულია სოფელ მუხაესტატეს საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. ნ. ხ. გოგიტიძე. ამხ. ვაჩეიშვილმა თათბირის მონაწილეებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ ამხ. ნ. ხ. გოგიტიძის კანდიდატურას.

თათბირზე გამოსულმა მშრომელთა წარმომადგენლებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ამხ. ვაჩეიშვილის წინადადებას.

თათბირი თავის ერთსულოვან გადაწყვეტილებაში სთხოვს ამხ. ნ. ხ. გოგიტიძეს კენჭი იყაროს აღნიშნულ ოლქში.

წინასაარჩევნო საოლქო თათბირმა ოლქის ამომრჩევლებს მოუწოდა 12 მარტს ერთსულოვნად გამოცხადდნენ საარჩევნო უბნებში და ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

# სტალინის საარჩევნო ოლქი

### (წერილი მოსკოვიდან)

ასობით ექსკურსანტი ყოველდღე ათვალიერებს მოსკოვს. მოსკოველები ხშირად ხედავენ ქუჩებსა და მოედნებზე ვეებერთელა ავტობუსებს, რომლებშიც სამოც-სამოცი მგზავრი ეტევა. ამ ავტობუსებს ორივე მხარეზე დიდი ასოებით აწერია „ექსკურსია მოსკოვში".

თვითეულ ვაგზალზე მიმაგრებულია რამდენიმე ასეთი ავტობუსი და საექსკურსიო-ტურისტული ბაზის მუშაკები მომსახურებას უწევენ მგზავრებს.

— რა გსურთ ნახოთ, ამხანაგებო?— ეკითხება ჩამოსულთ ექსკურსიის ხელმძღვანელი.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მოსკოვში მოხვედრილ სატრანზიტო მგზავრებს სხვადასხვა სურვილი ჰქონდათ. ექსკურსიის ხელმძღვანელებს უხდებოდათ მათი სხვადასხვა ავტობუსში მოთავსება სურვილის მიხედვით.

ერთი ავტობუსი დედაქალაქის ცენტრში მიდიოდა, მეორე — ზოოლოგიურ ბაღში, მესამე—კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში, მეოთხე—ტრეტიაკოვის გალერეაში, მეხუთე—პლანეტარიუმში, მეექვსე—წითელ მოედანზე.

ახლა მეტი წილი ავტობუსები დედაქალაქის განაპირა მხარეს მიდიან: ექსკურსანტებს სურთ დაათვალიერონ სტალინის საარჩევნო ოლქი.

ექსკურსიის დროს ავტობუსი რამდენჯერმე ჩერდება. ყოველი გაჩერებისას ექსკურსანტი მგზავრები გადმოდიან ავტობუსიდან და ხელმძღვანელი მათ უამბობს:

— თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, მეტროს სადგურ „სტალინსკაიას".

ამ სადგურის მშენებლობა, ისევე როგორც მეტროს მთელი ხაზისა, დამთავრდა დიდი სამამულო ომის წლებში. აი ეს დედაქალაქის ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი კინოთეატრ „როდინას" შენობაა. ყურადღება მიაქციეთ, ხედავთ აგერ იქ დგას პატარა სახლი... ეს სახლი მალე აღარ იქნება. მაისში ამ სახლის მცხოვრებნი გადავლენ ახალ სახლებში, ხოლო ამ პატარა სახლს აიღებენ და აქ აღარაფერი დარჩება ძველი ბლაგუშას, ოდესღაც შორეული განაპირა მხარის, უფრო სწორად მოსკოვის გარეუბნის მოსაგონრად.

ბლაგუშა... ასე ეწოდებოდა წარსულში მოსკოვის იმ რაიონს, რომელიც ახლა ატარებს საბჭოთა ხალხის ბელადის, მასწავლებლისა და ჩვენი ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელის საამაყო სახელს.

საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში ჰკიდია მოსკოვის იმ რაიონების ვეებერთელა რუკა, რომლებიც სტალინის საარჩევნო ოლქში შედიან.

ათობით უდიდესი საწარმო, კლუბები, თეატრები, კინოთეატრები, საბავშვო ბაღები და ბაგები, ბიბლიოთეკები, რესტორანები, სტადიონებია აღნიშნული ამ რუკაზე და ყოველივე ეს აქ წარმოიშვა სტალინური ხუთწლედების წლებში. ბევრ მოედანსა და ქუჩაზე ათობით შენობა ხარაჩოშია.

ამას წინათ ოლქის ერთ-ერთ საარჩევნო უბანში ელექტროლამპების ქარხნის მექანიკოსმა აგიტატორმა ქ. ე. ვარფოლომეევმა საუბარი გამართა ამომრჩევლებთან. მან ილაპარაკა იმ შესანიშნავ ცვლილებებზე, რომლებიც სტალინის რაიონში მოხდა დიადი ხუთწლედების მანძილზე და სთხოვა მსმენელებს ეამბნათ იმ მშენებლობებზე, რომლებსაც მათი საწარმოები ეწევიან.

რიგრიგობით გამოდიოდნენ ამომრჩევლები და უბრალოდ, შეულამაზებლად ლაპარაკობდნენ იმაზე, რაც იცოდნენ. გამოირკვა, რომ ოლქში ყველა დიდ სამრეწველო საწარმოს თავისი მშენებლობა აქვს. ამომრჩევლები ლაპარაკობდნენ ახალ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებზე, რომლებშიც უკვე მაისის დღესასწაულებზე ჩასახლდებიან მუშები, კლუბების, პოლიკლინიკების, საბავშვო ბაღების მშენებლობაზე.

ბევრ ამომრჩეველს ახსოვს, რომ იმ ადგილას, სადაც ახლა ელექტროქარხნის ვეებერთელა კორპუსები დგას, 25 წლის წინათ ნაგვის გადასაყრელი ადგილი იყო. ახლა სტალინის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არის უდიდესი ინდუსტრიული საწარმოები, რომლებიც საბჭოთა სოციალისტური ინდუსტრიის სიამაყეს წარმოადგენენ. ეს საწარმოებია — მოსკოვის ინდუსტრიული ქარხანა, სატრანსფორმატორო ქარხანა, შჩერბაკოვის სახელობის საფეიქრო კომბინატი, ფაბრიკა „კრასნაია ზარია", ქარხანა „რადიოფრონტი", სართავ-საქსოვი ფაბრიკა, ფაბრიკა „კომეგა", იაროსლავსკის სახელობის ქარხანა, ბალაკირევის სახელობის ფაბრიკა, საანგარიშო-საანალიზო მანქანების ქარხანა და სხვ.

ახალ სოციალისტურ საწარმოებთან ერთად რაიონში შენდებოდა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, აღიგავა პირისაგან მიწისა ის, რაც ახასიათებდა ძველი ვაჭრული მოსკოვის სიღატაკეს.

ნათელი უბნები... სწორედ ნათელი უბნები წარმოიშვა გიგანტური ქარხნების მახლობლად, გარშემორტყმული ყვავილნარებით და საბავშვო მოედნებით. მუშათა ეს სახლები თავისი შინაგანი მოწყობილობით, თავისი გარეგნული არქიტექტურით არაფრით განსხვავდება დედაქალაქის ცენტრში აგებული შესანიშნავი შენობებისაგან. ამ სახლების პროექტებზე მუშაობდნენ მოსკოვის იგივე სახელოვანი ხუროთმოძღვრები, რომლებიც ქმნიდნენ იმ შესანიშნავ შენობათა პროექტებს, დედაქალაქის ცენტრს რომ ამშვენებენ.

ოთხი წლის წინათ, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები მიმდინარეობდა, იზმაილოვში ვეებერთელა ცარიელი ადგილი იყო. ახლა აქ შექმნილია რამდენიმე ახალი საარჩევნო უბანი. ამ წლების მანძილზე ამ ცარიელ ადგილას 117 შენობა აიგო. წარმოიშვა მთელი ქალაქი ახალი მოასფალტებული ქუჩებით. შენობათა ქვედა სართულებში მოთავსებულია მოდების ატელიეები, მაღაზიები, საბავშვო ბაღები, ბაგები, აფთიაქები, სამკურნალო დაწესებულებები. ამ ქალაქის ცენტრშია სასახლე, რომელშიც სწავლობენ, ცხოვრობენ და იზრდებიან დაღუპულ მეომართა შვილები.

ამას წინათ შედგა სტალინის რაისაბჭოს აღმასკომის პლენუმი. ამ პლენუმზე გამოქვეყნდა რამდენიმე საინტერესო ციფრი. თურმე მარტო უკანასკნელი სამი წლის მანძილზე რაიონში 51 მილიონ მანეთზე მეტი დახარჯულა საცხოვრებელი სახლების მიმდინარე რემონტზე, გამწვანებასა და საგზაო მშენებლობაზე.

მარმარილოს საფეხურებიანი ფართო კიბე ამშვენებს მოსკოვის ერთ-ერთ საუკეთესო თეატრალურ შენობას. ამ შენობაში მუშაობს მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრი. თეატრის პრემიერებს დედაქალაქის მუშათა რაიონში ჩვეულებრივ ესწრება მოსკოვის მთელი თეატრალური საზოგადოება.

უნახავს ოდესმე ეს ძველ ბლაგუშას? ბევრი მოსკოველი ყოფილა წინათ აქ? მოსკოველებმა იცოდნენ, რომ სადღაც არის რაღაც ბლაგუშა ეკლესიით და რამდენიმე სამიკიტნოთი.

ახლა კი აქ 42 საშუალო სკოლის, 13 ტექნიკუმისა და 7 უმაღლესი სასწავლებლის 3-4-სართულიანი ახალი შენობებია. აქ არის ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი. შენდება უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ვეებერთელა კორპუსები, რომლებშიც მოთავსდება ახალი აუდიტორიები და ლაბორატორიები.

ზამთრის მიუხედავად, ფართო ფრონტით წარმოებს რაიონში მუშათა სახლების გაზიფიკაციის სამუშაოები. ჯერ კიდევ სამი წლის წინათ რაიონის მცხოვრებთა მხოლოდ მეათედ ნაწილს ჰქონდა სარატოვის გაზი. ახლა კი რაიონში გაზიფიცირებული არ არის ბინების მხოლოდ 25 პროცენტი.

მეტროს გვირაბებში, რომლებიც სერავენ მთელ რაიონს, დაქრიან მატარებლები. ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი, ტაქსი აკავშირებენ დედაქალაქის ცენტრს მის რაიონთან, რომელიც ამაყად ატარებს ბელადის სახელს.

სტალინის № 2 საარჩევნო ოლქი. ოლქის რუკაზე მოთავსებულია 114 საარჩევნო უბნის საზღვრები. ათასზე მეტი აგიტატორი — საწარმოთა მოწინავე მუშები ეწევიან დიდ და საპატიო მუშაობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების მოსამზადებლად.

ასობით წითელ კუთხეში, აგიტპუნქტებში, სახლების კლუბებში და სხვ. იკრიბებიან საღამოობით ამომრჩევლები. აქ ყველაზე დიდი წარმატება აქვს ლექციებსა და საუბრებს თემაზე „სტალინის რაიონის ისტორია". ამ ლექციებს კითხულობენ ავტომექანიკური ინსტიტუტის დოცენტი პიატიგორსკი, № 425 სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ვასილიკი და რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი კუზნეცოვა.

სტალინის რაიონის 37 ბიბლიოთეკამ მოაწყო ამ თემისადმი მიძღვნილი გამოფენები. რაიონის ისტორიისადმი მიძღვნილი საღამოები და ლექციები ჩვეულებრივ იქცევიან მოგონებათა საღამოებად.

ძველ ამომრჩევლებს, რომლებიც კარგად იცნობდნენ ბლაგუშას, ბევრი რამ აქვთ მოსაგონარი.

— წვიმა რომ მოვიდოდა, — იგონებს ამომრჩეველი მარიამ სემიონოვა,—შინ ვეღარ მივიდოდი. სახლების მახლობლად აწყობდნენ ფიცრებს, ჰყრიდნენ აგურებს... საღამოობით უკუნეთი სიბნელე იყო. ელექტრონი, რა თქმა უნდა, არ იყო, ფარნები კი მხოლოდ ქუჩების კუთხეებში ეკიდა... ახლა ახალგაზრდებისათვის კარგი დრო დადგა: მოხვალ სამუშაოდან, — მერე ან კლუბში წახვალ, ან კინოში, ან ცეკვაზე... ჩვენ ამის მსგავსი არაფერი გვქონია.

გვიან საღამოობით მთავრდება ლექციები და საუბრები რაიონის წითელ კუთხეებსა და აგიტპუნქტებში. ბედნიერნი, კმაყოფილნი გამოდიან ქუჩაში ამომრჩევლები.

რაიონის ფაბრიკები და ქარხნები მთელ ღამეს განათებულია. ხოლო დილით ათობით ეშელონს ფაბრიკებისა და ქარხნების ეზოებიდან მიაქვთ სტალინის რაიონის სამრეწველო საწარმოთა პროდუქცია.

მიაქვთ ჩვენი თვალუწვდენი სოციალისტური სამშობლოს ყველა კუთხეში. თითქმის არ არსებობს ჩვენს ქვეყანაში ისეთი რაიონი, სადაც არ შეჰქონდეთ ელექტრო და რადიოლამპები, ტრანსფორმატორები, ზუსტი ინსტრუმენტები და ხელსაწყოები, ჩითი, ტრიკოტაჟი, საანგარიშო აპარატები და მრავალი სხვა, რასაც ამზადებენ სტალინის № 2 საარჩევნო ოლქის საწარმოთა მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები.

ნ. სტორი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# კარგი საჩუქარი მეხილეებს

ხილს დიდი მნიშვნელობა აქვს. სხვადასხვა ხილი უხვად შეიცავს ადამიანის ორგანიზმისათვის საჭირო შაქარს, ცილებს, ცხიმებს, მჟავებს, ვიტამინებს, მარილებს. მეხილეობის განვითარება ხელს უწყობს კოლმეურნეობათა განმტკიცებას და გაძლიერებას, კოლმეურნეთა შეძლებულობის ამაღლებას. ამიტომ ჩვენი პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ მეხილეობის განვითარებისადმი. ჩვენში სამრეწველო მეხილეობას მტკიცე საძირკველი აქვს ჩაყრილი.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1947 წლის 21 მარტს ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თქვა: „ხეხილის ნარგაობა, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობის რაიონებში, უნდა სარგებლობდეს ისეთივე ყურადღებით, როგორც ციტრუსები სუბტროპიკულ რაიონებში... ჩვენ ვალდებული ვართ მივაღწიოთ ხეხილის ბაღების გაჯანსაღებას და მათი მოსავლიანობის გადიდებას“.

ჩვენში ხეხილი ყოველწლიურად დიდი რაოდენობით შენდება, უკვე დარგულია 90-მდე ათასი ჰექტარი, აქედან მარტო შარშან—4.699 ჰექტარი. ბევრგან საფუძვლიანად გაუმჯობესებულია ბაღების მოვლა, გამოვლინებულია მრავალი სახელოვანი ნოვატორი, რომლებმაც უზრუნველყვეს ხილის დოიმდე უხვეული, ჰექტარზე 400-მდე ცენტნერი და ზოგან მეტი ნაყოფის მიღება.

აი ამ მოწინავე ადამიანთა გამოცდილების მიხედვით, საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა გამოყენების საფუძველზეა დაწერილი ამხ. გ. ე. ალექსიძის ნაშრომი „ხეხილის ბაღის ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება“, რომელიც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოსცა.

გ. ალექსიძის მეცნიერულ-პოპულარულ ნაშრომში გაშუქებულია მეხილეობის მთელი რიგი საკვანძო საკითხები მიჩურინის, ვილიამსის, დოკუჩაევის და სხვა მეცნიერთა მონაცემების მიხედვით, სახელდობრ: ხეხილის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო პირობები, საკვები ნივთიერებანი, ხეხილის ბიოლოგიური თავისებურებანი საკვები ელემენტებისა და წყლის მოთხოვნილების მხრივ, ნიადაგის ნაყოფიერების თვისებათა წარმოქმნა და განვითარება, მტკიცე კოშტოვანი სტრუქტურა, როგორც ნიადაგის ნაყოფიერების მთავარი პირობა, დოკუჩაევ-ვილიამსის აგროკომპლექსი, როგორც ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის საფუძველი, სასუქები და მათი სახეები, ნორმების გამონგარიშება, მომზადება ნიადაგში შესატანად, მიწის განოყიერების ტექნიკა და სხვ.

წიგნის ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ დოკუჩაევ-ვილიამსის აგროკომპლექსი, რომელიც ითვალისწინებს მცენარეთა ზრდა-განვითარების პირობებზე ერთობლივ ზემოქმედებას, იმგვარად არის მოცემული, რომ მისი გაგება და განხორციელება გაუადვილდეს თვითეულ კოლმეურნესა და საბჭოთა მეურნეობის მუშას.

სავსებით მართებულად აღნიშნავს წიგნის ავტორი, რომ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, ხილის უხვი და მყარი მოსავლის მიღება შესაძლებელია არა ერთეულ ღონისძიებათა გამოყენებით, არამედ სწორ აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემის დანერგვით.

ამიტომ კარგად მოქცეულა ამხ. ალექსიძე, რომ ხეხილის ზრდისა და მოსავლიანობის გადიდების ამა თუ იმ ღონისძიებას განიხილავს არა განცალკევებით, არამედ სხვა საჭირო ღონისძიებებთან კავშირში, ამასთან, თვითეული საშუალება, ქიმიური ელემენტი, მისი მოქმედების დადებითი თუ უარყოფითი მხარე წიგნში განხილულია საფუძვლიანად. მაგალითად, აზოტის შესახებ ნათქვამია, რომ იგი წარმოადგენს ხეხილის მთავარ შემადგენელ და მეტად მნიშვნელოვან საკვებ ელემენტს. აზოტის ნაკლებობა შესამჩნევია უბრალო თვალითაც. ფოთლების მოყვითალო შეფერვა, ფოთლების დაწვრილება, ნაადრევი სიბერე, ყლორტების სუსტი ნაზარდი და ზრდის სწრაფად დამთავრება, ყვავილების სუსტი განაყოფიერება და დიდი რაოდენობით ჩამოცვენა, ნაყოფის სიწვრილე და სხვ. ნიადაგში აზოტის ნაკლებობის მაჩვენებელია. აზოტის სიმცირისას სუსტად ვითარდება ხეხილის ფესვთა სისტემაც. შემდეგ ნაშრომში მოთხრობილია იმ ნიშნებზე, რაც მაჩვენებელია აზოტით ჭარბი კვებისა და სხვ. წიგნში ასევე განხილულია ფოსფორის, კალიუმის და სხვათა გავლენა ხეხილზე და ნაყოფზე. ავტორი ვრცლად ახასიათებს მინერალურ და ორგანულ სასუქებს და აშუქებს მათი გამოყენების წესებს. ნაშრომში განსაკუთრებით ფართოდ არის დახასიათებული ცალმხრივი და მრავალმხრივი ანუ სრული სასუქები.

როგორ დავნერგოთ დოკუჩაევ-ვილიამსის აგროკომპლექსი არამსხმოიარე ბაღში? როგორ გავატაროთ იგი მსხმოიარე ბაღში?—სვამს კითხვებს წიგნის ავტორი და კონკრეტული მაგალითების მოყვანით იძლევა გარკვეულ და დამაჯერებელ პასუხს მათზე. ახალგაზრდა ნარგავების, ვიდრე ხეხილი მსხმოიარობის პერიოდში შევიდოდეს, მოვლის ღონისძიებანი იმგვარად არის წიგნში მოცემული, რომ უზრუნველყოფილ იქნას სათანადო ვეგეტაციური ზრდა და მსხმოიარობის დაჩქარება. მაგრამ ისიც არის მხედველობაში მიღებული, რომ ზოგჯერ სასურველია ახალგაზრდა ნარგავის ზრდის შეფერხება ყლორტების მომწიფებისა და ყინვის ამტანობის გადიდებისათვის. მსხმოიარე ბაღების მიმართ სათანადო აგროკომპლექსის გამოყენებას კი საფუძვლად აქვს დადებული მთავარი მიზანი—მსხმოიარობის პერიოდის გახანგრძლივება, ამ პერიოდში ნორმალური ვეგეტაციური ზრდის უზრუნველყოფა, ნაყოფისმომცემ ორგანოთა განვითარება.

საერთოდ, ამხ. გ. ალექსიძის ნაშრომს ეტყობა ავტორის მიერ საქმისადმი ცოდნით და პასუხისმგებლობით მიდგომა.

**ტ. თოდრაძე**




კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის მეთოდური კაბინეტის მიერ მოწყობილი მოძრავი ბიბლიოთეკა-ავტომობილი ქალაქ თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ გლდანის საარჩევნო უბანში მომსახურებას უწევს ამომრჩევლებს საარჩევნო ლიტერატურით.

ფოტო რ. აკოფოვისა

# ნაკლოვანებანი უნდა გამოსწორდეს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება ფართოდ გაჩაღდა ტყიბულის რაიონში. მნიშვნელოვნად გადიდდა აგიტატორთა რიცხვი. შახტებისა და კოლმეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებთან შეიქმნა აგიტპუნქტები, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოსახლეობაში, ამომრჩეველთა შორის. განსაკუთრებით კარგად მუშაობს სააგიტაციო პუნქტი მოლოტოვის სახელობის შახტში, რომლის გამგეა ინჟინერი ქალი, კომკავშირელი ნინო გრიგალაშვილი. სააგიტაციო პუნქტი ლამაზადაა გაფორმებული, უზრუნველყოფილია საარჩევნო ლიტერატურით. შემოღებულია აგიტატორთა მუდმივი მორიგეობა. ამიტომაც აგიტპუნქტი დიდძალ მეშახტე ამომრჩევლებს იზიდავს. ისინი აქ იღებენ პასუხს მათთვის საინტერესო საკითხებზე.

მოლოტოვის სახელობის შახტის პარტიულმა ორგანიზაციამ ახალგაზრდა მეშახტეებთან აგიტატორად გამოყო კომუნისტი ვლ. ბოჭორიშვილი, რომელიც დიდი მონდომებით შეუდგა ამ საპატიო მოვალეობის შესრულებას. აგიტატორმა საარჩევნო დებულების შესწავლას უკვე ოთხი მეცადინეობა მიუძღვნა. ახლა მისი სააგიტაციო უბნის მეშახტე ამომრჩევლებმა კარგად იციან საარჩევნო კანონი. მოლოტოვის სახელობის შახტიდან მოწინავე აგიტატორებია აგრეთვე ნ. ფორჩხიძე, ს. შენგელია, ი. კუპრაშვილი, ლენინის სახელობის შახტიდან — მ. ზვიადაძე, დ. დოლაკიძე, ს. მურადაშვილი და სხვები. ისინი ამომრჩევლებში შინაარსიან საუბრებს ატარებენ სტალინურ კონსტიტუციაზე, საარჩევნო კანონზე, ჩვენი ქვეყნის წარმატებებზე ეკონომიკისა და კულტურის დარგში, საერთაშორისო მდგომარეობაზე.

ასე როდი შეიძლება ითქვას სტალინის სახელობის შახტის იმ სააგიტაციო პუნქტზე, სადაც გამგედაა კომუნისტი მ. ციცხვაია. საშახტო პარტიული ორგანიზაცია (მდივანი კ. მინდიაშვილი) და აგიტპუნქტის გამგე მ. ციცხვაია აგიტპუნქტისათვის ბინის გამოძებნითა და რამდენიმე ლოზუნგის გაკვრით დაკმაყოფილდნენ. აგიტპუნქტში ჯერ კიდევ არ შემოუღიათ აგიტატორთა მორიგეობა. ამიტომ იგი მეტ დროს დაკეტილია. იქ ვერ ნახავთ ვერც ერთ ცალ საარჩევნო დებულებას, სტალინურ კონსტიტუციას და სხვა საარჩევნო ლიტერატურას. აგიტპუნქტის გამგე ვერ იცნობს თავის აგიტატორებს, ერთხელაც არ შეხვედრია მათ, არ მოუწყვია მათთვის არავითარი ინსტრუქტაჟი და საუბარი.

სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნია თავის მუშაობაში აგიტკოლექტივს, რომელსაც თვით პარტბიუროს მდივანი კ. მინდიაშვილი ხელმძღვანელობს. აგიტკოლექტივი აგიტატორებს არადამაკმაყოფილებელ მეთოდურ დახმარებას უწევს, არ ახდენს მოწინავე აგიტატორთა გამოცდილების გაზიარებას და სხვ. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ზოგი ახლად გამოყოფილი აგიტატორი ჯერ კიდევ არ შესდგომია საარჩევნო დებულების პროპაგანდას სააგიტაციო უბანში. მაგალითად, კომკავშირელი ე. კორძაძე საარჩევნო დებულების შემსწავლელი წრის ხელმძღვანელადაა გამოყოფილი ბერიას ქუჩის № 30 სახლში, მაგრამ მას დღემდე მუშაობა არ დაუწყია. ასევე მეცადინეობას არ შესდგომია დებულების შემსწავლელი ის წრეები, რომელთა ხელმძღვანელებია წ. გუგუბერიძე და თ. ჯალაღანია.

ბერიას ქუჩაზე მდებარე მეშახტეთა საცხოვრებელ სახლში (№ 24) იანვრის ბოლო რიცხვებში დააკომპლექტეს დებულების შემსწავლელი წრეები და ამით დაკმაყოფილდნენ, წრეების მეცადინეობა დღემდე არ დაწყებულა. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აქაურმა დიასახლისებმა ნ. ბაბუხადიამ, ლ. ჩიგაძემ და დ. შიომბოკოვამ არც კი იციან, თუ როდის ჩატარდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

პარტიის ტყიბულის რაიკომმა ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად სასწრაფო ზომები უნდა მიიღოს.

**ვ. ცირეკიძე**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

საბჭოთა მშენებლობა

# სასოფლო საბჭო, რომელიც ცხოვრებას ჩამორჩა

ორ წელზე მეტი ხანი გავიდა, რაც მშრომელებმა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები აირჩიეს. წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის ამომრჩევლებმა სოფლის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის დეპუტატებს მისცეს განაწესი. სასოფლო საბჭოსა და დეპუტატების მუშაობას საფუძვლად უნდა დასდებოდა ეს განაწესი, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

ჯერ კიდევ 1936 წელს ამხანაგი სტალინი ამბობდა: „ჩვენში ცოტა როდია ისეთი დაწესებულება, რომელიც ცუდად მუშაობს. ხდება ხოლმე, რომ ხელისუფლების ესა თუ ის ადგილობრივი ორგანო ვერ ახერხებს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ამა თუ იმ მრავალფეროვან და სულ უფრო და უფრო მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას“. ეს სიტყვები მთლიანად შეიძლება გავიმეოროთ ზემო მაჩხაანის სასოფლო საბჭოს შესახებ. მაშ რით შეიძლება აიხსნას, რომ სოფელს დღემდე არა აქვს კლუბი, რადიო, ელექტროგანათება, საავადმყოფო, აბანო?

სასოფლო საბჭოს სესიამ შარშან სამჯერ განიხილა (27 მარტს, 5 მაისს და 27 ივლისს) კლუბის მშენებლობის საკითხი. მშენებლობისათვის სპეციალური კომისიაც კი შეიქმნა დეპუტატ ნიკო მამაიაშვილის თავმჯდომარეობით. გამოჰყვეს სამნეო ნაწილის გამგე, საშენი მასალების მცველი და აღმრიცხველი. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო და მშენებლობას გაჩაღება-ღა აკლდა. მაგრამ საბჭოს „მოღვაწეობა“ კლუბის აშენების საქმეში მხოლოდ კომისიის შექმნით „დაგვირგვინდა“ და მუშაობაც ამით ამოიწურა.

სასოფლო საბჭოს სესიაზე შარშან განიხილეს გავაზელთა პატრიოტული მოწოდება საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. სესიაზე სრულიად არაფრისმთქმელი და ზოგადი დადგენილება მიიღეს. მაგალითად, „ვალდებულების“ ერთ-ერთ მუხლში ნათქვამია: „თანახმად ზემდგომი ორგანოების დადგენილებისა, თვეში ორჯერ ჩავატარებთ სესიას და ორჯერ კომიტეტის სხდომას, ხშირად კი აქტივთან ერთად“. ნუთუ სასოფლო საბჭოს მუშაკებმა არ იციან, რომ ეს მათი პირდაპირი მოვალეობაა და არა ვალდებულება? მეორე „ვალდებულება“ ასეთია: „საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის ბიუროს და მშრომელთა დეპუტატების წითელწყაროს რაიაღმასკომის გადაწყვეტილებას შევასრულებთ დროულად და ხარისხიანად“... და სხვ.

სასოფლო საბჭოს მუშაობაში სრულიად არა ჩანს დეპუტატის შემოქმედებითი ინიციატივა. ან რა ინიციატივაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მთელი რიგი დეპუტატები, მათ შორის ვარინკა შარმაზანაშვილი, გიორგი გოგოლაშვილი, გიო ჯანაშვილი და კატო გოგოლაშვილი სესიის სხდომებსაც არ ესწრებიან. არც მუდმივი კომისიები მუშაობენ, ისინი მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ.

სოფელში არის ბიბლიოთეკა, რომელიც შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული. ბიბლიოთეკის გამგე ქრ. ლეკაშვილი უპასუხისმგებლოდ მუშაობს. მას შარშან ბიბლიოთეკისათვის წითელწყაროს რაიონული გაზეთიც კი არ ჰქონდა გამოწერილი. ხშირია შემთხვევები, როცა „სოიუზპეჩატის“ წითელწყაროს განყოფილება ბიბლიოთეკას აკლებს გაზეთებს.

საინტერესოა აგრეთვე, რომ არარსებულ კლუბს ჰყავს „გამგე“ თამარ ნატროშვილი, რომელიც ყოველთვიურად იღებს ხელფასს იმაში, რომ თავისუფლად დასეირნობს საბჭოს შენობიდან ბიბლიოთეკამდე და პირიქით.

ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობის გაშლაზეც აქ არავინ ფიქრობს. სოფელში არ არის სასპორტო მოედანი. სკოლის დირექტორი შალვა მანგიაშვილი თავს არ იწუხებს ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისათვის.

თითქოს „წვრილმანია“, მაგრამ სოფელ ზემო მაჩხაანში საფოსტო ყუთიც არ არის და მშრომელებს მეზობელ სოფელში მიაქვთ წერილები.

ორი მძლავრი კოლმეურნეობაა ამ სოფელში. ორივე კოლმეურნეობის წლიური ფულადი შემოსავალი რამდენიმე მილიონ მანეთს უდრის. კოლმეურნეობებს 11 საბარგო ავტომანქანა და სხვა სატრანსპორტო საშუალებები აქვთ. გასაკვირველი და დაუჯერებელია, რომ ასეთ მძლავრ კოლმეურნეობებს დღემდე არა აქვთ შესაფერისი კანტორები და საერთო კრებებს ღია ცისქვეშ იწვევენ. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ნ. მამაიაშვილი და მ. ჯამალაშვილი გატაცებული არიან მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების შესრულებით და კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, სოფლის კეთილმოწყობისათვის ზრუნვა მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ.

აღნიშნული ფაქტები მოწმობენ, რომ ზემო მაჩხაანის სასოფლო საბჭო ცხოვრებას ჩამორჩა, ჩაშალა ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა და უნარი არ შესწევს იზრუნოს სოფლის კეთილმოწყობისათვის. აქ საბჭოს თავმჯდომარე შარშან სამჯერ გამოცვალეს. მოვიდა ახალი თავმჯდომარე ნ. მაზიაშვილი, მაგრამ სოფელში ყველაფერი ისევ ძველებურად დარჩა. საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ვალდებული არიან მიიღონ საჭირო ზომები სასოფლო საბჭოს მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნისათვის.

**გ. ყაჯრიშვილი**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

# ხ ა ნ დ ე

მოთხრობა

I

ჩემი ძველი სოფლის იმ უბანში, სადაც ჩვენ პატარა ფიცრული ოდა გვედგა, ცხოვრობდა დედა ქეთევანი. სულ ორმოცი-ორმოცდახუთი წლისაა ქეთევანი, მაგრამ მას რატომღაც ახალგაზრდა და ხანდაზმულიც „დედა ქეთევანს“ ეძახის. შესაძლოა იმის გამო, რომ ადრე დაქვრივდა და მარტოხელამ გამოზარდა ვაჟიშვილი ხანდე. და შესაძლოა იმის გამო უფრო, რომ მას დედობრივი სიყვარულით უყვარს ჩვენი სოფლის ბავშვები...

სოფლის შუაგულში ვეებერთელა, დაბერებული, ტოტებშემოლეწილი და ნამეხარი ცაცხვი დგას. საღამო ჟამს აქ თავს იყრიდა მთელი სოფელი და დედა ქეთევანიც დათქმულივით გამოცხადდებოდა ხოლმე, ჯერ მალვით მიათვალიერ-მოათვალიერებდა „მთელ კრებას“, მერე სათავისო ადგილს შეირჩევდა და გააბამდა საუბარს:

— სჯობია, ბატონო, ამ ადგილს კოლხიდის ჭონჭყო და ჭაობი?—პასუხს არ დაელოდებოდა და განაგრძობდა:

— მიატოვებს, ბატონო, ამ ადგილს ჭკუათმყოფელი ადამიანი? მთა გინდა, წყაროს წყალი, სუფთა ჰაერი—ისურვე და აქ არის! აქაოდა ბევრი სიმინდი არ მოდისო და ეს სოფელი, ჩვენი ძველთაძველი კერა, ჩვენი დედულ-მამული ნასოფლარად და ნამოსახლარად უნდა ვაქციოთ?

და მისი შვილი ხანდე კი პირველი მოსურნეა კოლხიდაში დასახლებისა...

* * *

მერედა რა სიმწრით გამოზარდა დედა ქეთევანმა შვილი... მამა ადრე გარდაეცვალა ხანდეს და დედამ შვილი უსწავლელი მაინც არ დატოვა. ჯერ იყო და სოფლის სკოლაში დაატარებდა, მერე რაიონის ცენტრში დაამთავრებია საშუალო სკოლა და იფიქრა დედამ—აწი კი მეშველება, სოფლის სკოლაში დადგება მასწავლებლად ჩემი შვილი და ახლოს მეყოლებაო...

ერთი წლიწადი მართლაც დარჩა სოფელში ხანდე. როგორც კი სკოლაში მოითავებდა საქმეს, ოჯახს მიაშურებდა და შეღამებამდე თავის პატარა ეზოში ტრიალებდა: ახლად შემოაკავა და ერთიანად დაბარა ეზო, მეზობელი სოფლიდან ვაშლის, მსხლისა და ატმის ნერგები მოიტანა და ადრე გაზაფხულზე დარგო. ასიოდე ძირი ვაზიც ჩაჰყარა და უხაროდა დედა ქეთევანს შვილის ასეთი სიბეჯითე:

— მამამისია სულ. ასე იცოდა იმ ბედდამწვარმა, მოუსვენარი იყო, ფრინველს ასწრებდა გამოღვიძებას, ადრე ისაუზმებდა და ტყეში გასწევდა; სოფელი არც კი იყო გამოღვიძებული და ლევანს უკვე მოტანილი ჰქონდა მორი, მიჯდებოდა კაკლის ხის ძირში და მთელი დღე ჩორკნიდა, გობებს თლიდა, მერე კვირა დღეს ქალაქში წაიღებდა და საღამოს სიმინდით სავსე ტომარას შემოიტანდა შინ... ო, რა მოუსვენარი და დაუზარებელი კაცი იყო უბედური! ერთი შეახედა მისი ვაჟისათვის—კერია რომ არ გაუცივა, არ წაუქცია სახლი!

შვილის შინ ყოფნამ გაუხალისა გული დედა ქეთევანს, ფრთები გამოესხაო თითქოს, ისე მსუბუქად დადიოდა სოფლის ორღობეებსა და ბილიკებზე. შრომაშიაც ტოლს არ უდებდა ახალგაზრდა კოლმეურნე ქალებს, ეჯიბრებოდა კიდეც:

— აბა, თქვე გასათხოვრებო, მარჯვედ! აგერ მთელი საათია ქაქანებთ და თითო კალათი სიმინდიც არ გაგირჩევიათ! რა იმედით აპირებთ ნეტავ გათხოვებას?

ამ გოგონებში ერთი — კარის მეზობლის ქალიშვილი მარინე სათავისოდ, ხანდესათვის ჰყავდა ამორჩეული დედა ქეთევანს. ხიბლავდა მარინეს სიბეჯითე და მორცხვობა. სიტყვაძვირი იყო მარინე და თუ გაესაუბრებოდა ვინმეს, პირისახე აუწითლდებოდა, გრძელი წამწამები დახრილი ჰქონდა და მოსაუბრეს კი არ შესცქეროდა თვალებში, მიწას იყო ჩაჩერებული.

ერთხელ, როცა კოლექტივის კრებიდან შინ ბრუნდებოდნენ, დედა ქეთევანმა დაიმარტოხელა მარინე, ერთხანს სიტყვაუთქმელად მოდიოდნენ, მერე დედა ქეთევანმა თითქოს სიჩუმის დასარღვევად გაიღო ხმა:

— ასეთი კარგი ქალიშვილი ხარ, შვილო, დროა შენი შესაფერისი ამოირჩიო... მაგრამ ჩვენს სოფელში... ეხ, რა ვიცი! არის კი ვინმე, შვილო, ჩვენს სოფელში შენი შესაფერისი?! ჩემი ხანდეა და ჭკუადაუმჯდარია ჯერ, მართალია ბაბუაჩისი თექვსმეტი წლისა დაქორწინებულა, ხანდეს კი ამ გაზაფხულზე თვრამეტი შეუსრულდა, შვილო...

პასუხი არ გაუცია მარინეს. იგრძნო კი, რომ ეხალისებოდა დედა ქეთევანთან ახლოს ყოფნა. ასე სიტყვაუთქმელად მიაცილა სახლამდე, ერთი კი უთხრა — მშვიდობითო და აჩქარებული ნაბიჯით გასწია შინისაკენ.

* * *

ზაფხულში, კვირა დღეს ხანდეს მოულოდნელად ეწვივნენ ქალაქელი ამხანაგები დიმიტრი, თამარი და მაია. ამათ ხელბადე და ანკესები ჩამოიტანეს, აიყოლიეს ხანდე და ჩვენი სოფლის პატარა მდინარეზე წავიდნენ სათევზაოდ. როცა შინ მობრუნდნენ დედა ქეთევანს უკვე მზად ჰქონდა სადილი. თამარმა დიასახლისს ორი აცმა თევზი გადასცა და დაატანა — მარტოდმარტო მე დავიჭირე, ამ ბიჭებმა როკზე მიახვიეს ჩემი ხელბადე და ერთი თევზიც არ დაუჭერიათო.

სუფრა კაკლის ხის ჩრდილში გაშალეს. სტუმრების პატივსაცემად დედა ქეთევანმა დედისეული ხალიჩა გააფინა მოლზე. დრო მხიარულად გაატარეს. საღამო ხანს გამოემშვიდობნენ სტუმრები დედა ქეთევანსა და ხანდეს და ქალაქისკენ გაუდგნენ გზას.

შინმობრუნებული ხანდე ოთახში განმარტოვდა. მთელი სოფელი გამოფენილიყო ცაცხვის მინდორში. დედა ქეთევანიც აქ იყო და წამიდაწამ ელოდა შვილის გამოჩენას. არ ჩანდა ხანდე. მარტოობა იგრძნო დედის გულმა, შეუმჩნევლად გამოეყო ხალხს და შინისაკენ წამოვიდა. უხმაუროდ ავიდა კიბეზე, ასევე ფრთხილად შეაღო ოთახის კარი: ხანდე მაგიდასთან ზის, ლამპის შუქზე მის მიერვე დახატული თამარის სურათი გაუშლია და დასცქერის... იგრძნო დედის ფრთხილი ნაბიჯი, წამოდგა, გაუღიმა, ხელი მოჰკიდა და მაგიდასთან მიიყვანა.

— მოგწონს, დედი?

— ქალი კი არა, წარმოდგენაა შვილო, რამდენი გვაქვს გასახარელმა...

* * *

შემოდგომაზე დიდი ხნით გამოემშვიდობა ხანდე დედას. თბილისში წამოვიდა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შევიდა სასწავლებლად.

ისევ მარტოდმარტო დარჩა დედა ქეთევანი, მაგრამ ყოველ კვირა დღეს მოსდიოდა წერილი შვილისაგან და ეს ამხნევებდა.

...ვიცი, დედა, შენი გულის სატკივარი. ერთადერთი შვილი შორს გყავს და გული გეთანაღრება, მაგრამ როგორც უნდა აიტანო, ასეა საჭირო ჩვენი უკეთესი და ბედნიერი მომავლისათვის... ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი ყურადღებას არ მოგაკლებს, მე და ის ხომ ერთად ალვიზარდეთ შენს კალთაში, ისიც ხომ შენი შვილია! გაზაფხულზე მეც ჩამოვალ... შენი ნაცნობი ქალიშვილი თამარი მოკითხვას გითვლის. მე და ის ერთად ვსწავლობთ. ხშირად გახსენებს და ენატრება შენი ნახვა...

დედა ქეთევანმა კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა თამარის მოკითხვა და კიდევაც გაუმართლდა წინაგრძნობა.

II

ჩვენი სოფლის დასახლება კოლხიდაში ადრე იყო გადაწყვეტილი, მაგრამ სამამულო ომის დაწყებამ შეაფერხა ეს საქმე.

დედა ქეთევანს არც სწყინდა ეს ამბავი. ეს-ეს იყო ჩამოუვიდა ქალაქიდან შვილი და რძალი. ოჯახს ახალი წევრი შეემატა და ხანდემ მამამისის პატივსაცემად ლევანი შეარქვა თავის პირველ ვაჟიშვილს.

ილხენდა დედა ქეთევანი, მაგრამ გულში მაინც დარდად ჰქონდა ჩვენი სოფლის ბარში ჩამოსახლების ამბავი.

ცხადი იყო, რომ ადრე თუ გვიან, მაინც მოხდებოდა ეს.

არასოდეს მოუწევია ჩვენი სოფლის გლეხს სამყოფი სარჩო. გაზაფხულზე გულის გასახარად აბიბინებულ სიმინდის ყანას ხშირი ქარწვიმა დააზიანებდა, შემოდგომაზე ადრე დაიჭერდა სიცივეს და იცით როგორი იყო ჩვენს სოფელში დამწიფებული სიმინდის ტაროები? ჩია. და კოლექტივი განუწყვეტლივ ეზიდებოდა ქალაქიდან ხორბალსა და სიმინდს...

ჩვენი სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა სიხარულით მოელოდა ამ ხრიოკი ადგილის დატოვებას. დამთავრდა თუ არა დიდი სამამულო ომი და ჩვენი სოფლის ვაჟკაცები შინ დაბრუნდნენ, ქალაქიდან პარტრაიკომის მდივანი, აღმასკომის თავმჯდომარე და სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ამოვიდნენ, სწორედ ცაცხვის დიდ მინდორში მოიწვიეს სოფლის საერთო კრება.

— თქვენ ყველამ კარგად იცით, თქვა რაიკომის მდივანმა, თუ ჩვენი პარტია და მთავრობა როგორ ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობისათვის... შორეულ წარსულში ქართველი ხალხის ნაწილი, მტრების ხშირი შემოსევის გამო, იძულებული იყო დასახლებულიყო მთიან და მიუვალ ადგილებში. გაჭირვებითა და ჭაპანწყვეტით ცხოვრობდა ჩვენი ხალხი. ახლა ის დრო სამუდამოდ წავიდა, ამხანაგებო! პირადად ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობს ამ საშვილიშვილო საქმეს — ჩვენი კოლმეურნე გლეხობის ხრიოკი ადგილებიდან უხვმოსავლიან ველებსა და ზეგნებზე დასახლებას.

...ჯერ თქვენი სოფლის ნაწილი დასახლდება კოლხიდაში. მართალია, საცხოვრებელი სახლი იმდენია აგებული, რამდენიც საჭიროა, მაგრამ მოუთავებელია წყალსადენისა და ელექტროხაზის გაყვანა, ამასთანავე ამ თქვენს მცირე ჭირნახულსაც ნუ დავკარგავთ. შემოდგომის მიწურულზე კი ყველანი გამგზავრებით თქვენს ახალ სოფელში...

რაიკომის მდივანმა დაამთავრა სიტყვა.

ახალ მიწაზე დასახლების წინააღმდეგი არავინ იყო, მაგრამ მართალი უნდა ითქვას, ყოველ ჩვენგანს ერთგვარი შიში და იჭვი შემოგვეპარა გულში... მრავალი რამ შევეკითხეთ რაიკომის მდივანს და იგი გულდასმით გვესაუბრებოდა და გვიხსნიდა.

შევამჩნიე — დედა ქეთევანს უნდოდა სიტყვის თქმა; უნდოდა ეთქვა—რალა მაინცდამაინც ჩვენი სოფლისათვის მოიცალეთ პირველად, თქვე დალოცვილებო, ჯერ ძვალგაუმაგრებელია ჩემი ლევანი და გზაში გამიცივდებაო. მაგრამ კარგად გაიგონა, რომ მომხსენებელმა სტალინის სახელი ახსენა და გულში ღრმად იყო დარწმუნებული, რომ თუ სტალინმა გადაწყვიტა, უსათუოდ სასიკეთო საქმე კეთდება. ამასთანავე შვილის მოერიდა— ხანდე ხომ დიდი ხანია კოლხიდაში დასახლებაზე ოცნებობს — ჩემს აგრონომობას იქ გამოვაჩენო: ხეხილის ისეთ ბაღს გავაშენებ და სიმინდის ისეთ მოსავალს მოვიყვან, რომ ჩვენს კოლმეურნეობას ცნობილს გავხდი მთელს საქართველოშიო.—და ასეთი შვილის დედას განა შეეძლო სოფლის ამ საერთო კრებაზე ხალხის სურვილის წინააღმდეგ ეთქვა რამე? მაგრამ გულის მოსაოხებლად მაინც შეეკითხა დედა ქეთევანი რაიკომის მდივანს:

— ბატონო, ერთი ეს გვიბრძანეთ, ლეღვი და კაკალი თუ ხარობს იმ თქვენს კოლხიდაში და ჩვენი სოფლისთანა წყაროს წყალი თუ არის?

— ადრე დასახლებულ სოფლებში ყველაფერია, დედი: ვაშლი, მსხალი, ლიმონი, ფორთოხალი, ლეღვი და კაკალიც. წყალიც ჩინებული აქვთ და თქვენს სოფელშიც ასევე იქნება ყველაფერი...

* * *

მეორე დღეს ჩვენი სოფლის თხუთმეტი ოჯახი გაემგზავრა კოლხიდაში. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი, კოლმეურნეობის აგრონომი ხანდე, ბრიგადირები, კალატოზები და მეწისქვილე ფილიპე.

ბოლო ურემს დედა ქეთევანი, თამარი და ხანდე მიჰყვებოდნენ. პატარა ლევანი დედა ქეთევანს ჰყავდა გულთან მიკრული, როცა სოფლის ბოლოში გამოვიდნენ, თვალცრემლიანმა გადაკოცნა შვილიშვილი და თამარს გადასცა. მერე რძალსა და შვილს გადაეხვია და დაუბარა:

— გაუფრთხილდით ბავშვს, არაფერი მოუვიდეს, თორემ ვერც ერთი ცოცხალი ვერ გადამირჩებით...

III

და ჰა, შემოდგომის მიწურულზე ჩვენი სოფელი ადგა და ერთიანად დაიძრა ბარისაკენ. როგორც კი ჩვენი სოფლის ახსლეტილი და ორღობეები გზა მოვათავეთ, საბარგო ავტომანქანების მთელი ქარავანი დაგვხვდა. აქ იყო ჩვენი რაიკომის მდივანიც. მეწინავე მანქანაზე წითელი დროშა და ბელადის სურათი იყო აღმართული. დავიწყეთ ჩვენი ბარგის გადალაგება მანქანებზე და მოულოდნელად დედა ქეთევანი აწრიალდა: თავგზადაბნეული ვარ, ჩემი საყვარელი ყურშა დამრჩენია შინ! არა, ამხელა გზა ისე როგორ გამოვიარე, რომ ჩემი ყურშა არ მოვიკითხე! ო, დავბერდი შვილებო, მერე ხანდეს დავპირდი აუცილებლად ჩამოვიყვან მეთქი! დამტოვეთ, თქვენი ჭირიმე, მე ურმითაც კარგად ჩამოვაღწევ, სახლში უნდა მივბრუნდე და ყურშა წამოვიყვანო... დედა ქეთევანს როგორ გამოვაბრუნებდით უკან, გამოვქანდით სოფლისაკენ, ამოვირბინე აღმართი და როგორც კი დედა ქეთევანის

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის კომუნიკე

**პარიზი,** 10 თებერვალი. (საკდესი). მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის კომუნიკეში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა, ნათქვამია:

„9 თებერვალს ფრედერიკ ჟოლიო-კიურის თავმჯდომარეობით შედგა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სამდივნოს სხდომა. სხდომაში მონაწილეობა მიიღეს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის პარიზში მყოფმა წევრებმა და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის და დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლებმა.

სხდომაზე დადგენილ იქნა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესისა და მისი ბიუროს მიერ წინათ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ფორმები:

1. წინადადებანი მშვიდობის დაცვის შესახებ, რაც შემუშავებულ იქნა მუდმივი კომიტეტის სესიაზე რომში, დაეგზავნება მთელი მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტებს. ეს წინადადებანი ითვალისწინებენ გამალებული შეიარაღების შეწყვეტას სამხედრო ბიუჯეტებისა და ჯარის კონტინგენტების რიცხვის შემცირების გზით; ატომური იარაღის აკრძალვას; ინდონეზიაში, მალაიასა და ვიეტნამში ინტერვენციონისტული ომების შეწყვეტას; მთელ მსოფლიოში მშვიდობის მომხრეების მიმართ რეპრესიების შეწყვეტას; „ნერვების ომის" შეწყვეტას დიდ სახელმწიფოებს შორის სამშვიდობო პაქტის დადების გზით.

2. აღნიშნულ წინადადებებს პარლამენტების განსახილველად წარადგენენ დელეგაციები, რომელთა შემადგენლობაში იქნებიან გამოჩენილი საერთაშორისო მოღვაწეები.

3. 1950 წლის 20 თებერვლიდან 10 მარტამდე ეს დელეგაციები ინახულებენ იტალიას, ბელგიას, საფრანგეთს, ჰოლანდიას, მექსიკას, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს.

4. დელეგაციათა შემადგენლობა და მათი რწმუნებანი გამოქვეყნდება პრეს-კონფერენციაზე, რომელიც ჟოლიო-კიურის თავმჯდომარეობით შედგება პარიზში 17 თებერვალს".

## ნორვეგიელი მუშები მშვიდობის დასაცავად გამოდიან

**ოსლო,** 10 თებერვალი. (საკდესი). ჰერეის ქიმიური ქარხნის ორიათასიანმა კოლექტივმა თავის კრებაზე მიიღო რეზოლუცია, რომელშიც პროტესტს აცხადებს. კაპიტალისტურ ქვეყნებში გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ და გამოდის მშვიდობის დასაცავად.

ჩვენ, აღნიშნავენ ქარხნის მუშები, ახალი ხოცვა-ჟლეტის მომზადების მოწმენი ვართ. ჩვენი ქვეყანაც თავისი შეზღუდული რესურსებითა და მცირე მოსახლეობით მონაწილეობას იღებს საომარ მზადებაში. ეს დანაშაულია ჩვენი ხალხის წინააღმდეგ. ახალი ხოცვა-ჟლეტის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა მსხვერპლი მძიმე ტვირთად აწვება მშრომელებს.

ჩვენ არა გვსურს გულხელდაკრეფილი ვისხდეთ, როცა რეაქცია ახალ უბედურებას უმზადებს კაცობრიობას. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი ძალგვიძს, რათა არ დავუშვათ ეს.

## პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენელთა პრეს-კონფერენცია ლეიკ-საქსესში

**ნიუ-იორკი,** 9 თებერვალი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოს წარუდგინა მოხსენება, რომელიც მოითხოვს გაუქმდეს „მშრომელთა წინააღმდეგ მიმართული და რასობრივ კუთვნილებაზე დამყარებული დისკრიმინაციული ხასიათის ეკონომიური და სოციალური ღონისძიებანი". მოხსენება შეიცავს წინადადებას განხორციელდეს საჭირო ღონისძიებანი, რაც მიმართულია დისკრიმინაციის შეწყვეტისაკენ და რასისა და ეროვნების განურჩევლად ყველა მშრომელისათვის თანასწორ უფლებათა უზრუნველყოფისაკენ.

იმის შიშით, რომ სასტიკი დისკრიმინაციული პრაქტიკა მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის წინაშე არ გამოაშკარავებულიყო, შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციებმა მიაღწიეს იმას, რომ ეკონომიურმა და სოციალურმა საბჭომ გადაწყვიტა გადასცეს ეს მოხსენება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას იმ აშკარა ვარაუდით, რომ ეს ორგანიზაცია მოხსენებას თავის არქივებში დამარხავს.

გუშინ ლეიკ-საქსესში შედგა პრეს-კონფერენცია, რომელზეც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლებმა: მისმა ვიცე-თავმჯდომარემ — ლათინური ამერიკის მშრომელთა კონფედერაციის თავმჯდომარემ ლომბარდო ტოლედანომ, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარემ აბდულა დიალომ და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ეკონომიური და სოციალური განყოფილების ხელმძღვანელმა ფიშერმა — მტკიცე პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, რომ ეკონომიურმა და სოციალურმა საბჭომ უარი თქვა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოხსენების განხილვაზე.

პირველმა ილაპარაკა ფიშერმა. მან თქვა, რომ „ეკონომიური და სოციალური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ ნაწილია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის უფლებათა წინააღმდეგ შეტევისა. ეს შეტევა იმით აიხსნება, რომ საბჭოს უმრავლესობამ უღალატა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს და ხალხებისათვის მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მიცემულ დაპირებებს და ეწევა თავის რეაქციულ პოლიტიკას. ამ უმრავლესობას არა სურს საბჭოში განიხილოს კონკრეტული ფაქტები და კონსტრუქციული წინადადებანი, რომლებიც ექსპლოატაციისა და ბატონობის პოლიტიკას ამხილებენ".

ლომბარდო ტოლედანომ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისათვის პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოხსენების გადაცემის შესახებ სასიკვდილო განაჩენს უდრის, „იმიტომ, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ამჟამად მთელ მსოფლიოში უძველესი პოლიტიკური გაქვავებული ორგანიზაციაა. განსხვავება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ძველ ერთა ლიგას შორის ის არის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო სახელმწიფოები, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ორგანიზებულ საზოგადოებრივ აზრს წარმოადგენენ. თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დაადგა ორგანიზებულ საზოგადოებრივ აზრთან თანამშრომლობაზე უარის თქმის გზას, ეს დასაბამს მისცემს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიულ კრიზისს".

ლომბარდო ტოლედანომ მკაცრად დაგმო სახელმწიფო დეპარტამენტის ჩარევა ლათინური ამერიკის ქვეყნების საშინაო საქმეებში. ლომბარდო ტოლედანომ ამასთან დაკავშირებით მოიყვანა ციტატა სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მილერის განცხადებიდან იმის შესახებ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა გადაწყვიტილება მიიღო „დაეხმაროს" პროფკავშირულ მოძრაობას ლათინური ამერიკის ქვეყნებში — დაარაზმოს იმ პოლიტიკის მოთხოვნის შესაბამისად, რომელსაც შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს.

როგორც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარე, თქვა ლომბარდო ტოლედანომ, კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებ ასეთი ჩარევის წინააღმდეგ. მე ვიცი, რომ ამერიკის მთავრობას მხარს დაუჭერს ლათინური ამერიკის ზოგიერთი დიქტატორი, მაგრამ შეერთებული შტატების მთავრობას არასოდეს არ დაუჭერენ მხარს ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხები.

## დასავლეთ გერმანიის კომუნისტური პარტიის განცხადება

**ბერლინი,** 9 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის" კორესპონდენტი საარბრუკენიდან (საარის ოლქი) იუწყება, დასავლეთ გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ საარის ბედის საკითხზე გამოაქვეყნა განცხადება.

ერთადერთი მთავრობა, რომელიც იცავს გერმანიის ინტერესებს და ამით საარის ინტერესებსაც, — ნათქვამია განცხადებაში,—არის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. გერმანიის კომუნისტურ პარტიას შეგნებული აქვს თავისი ისტორიული პასუხისმგებლობა და აცხადებს: იგი არასოდეს არ დაეთანხმება საარის ბედის გადაჭრას, თუ იგი მიღებულ არ იქნა გერმანელი ხალხის და მასთან ერთად საარის ოლქის მოსახლეობის თავისუფალი, დამოუკიდებელი კენჭისყრის საფუძველზე.

გერმანიის კომუნისტური პარტია მთელ პროგრესულ ძალებთან ერთად ემხრობა გერმანელი და ფრანგი ხალხების მეგობრობასა და თანამშრომლობას, ახალ სამხედრო თავდასხმათა საფრთხის მოსპობას. დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის ღონისძიებანი წარმოადგენენ ომის მომზადების იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგს. ეს ღონისძიებანი საშიშია ფრანგი ხალხისათვის და სერიოზულ საფრთხეს უმზადებენ მშვიდობას.

რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ხალხთა მშვიდობას, ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას ხელს უწყობს არა გერმანიის გათიშვა, არამედ ეროვნულ ფრონტად ყველა გერმანელის დარაზმვა ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი გერმანიის რესპუბლიკისათვის ბრძოლაში.

## ადენაუერი „განტევების ვაცს" ეძებს

**ბერლინი,** 9 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი" იუწყება, ადენაუერის მახლობელ წრეებში აცხადებენ, რომ ადენაუერი აპირებს დაითხოვოს მეურნეობის მინისტრი ერჰარდი, რათა იყოლიოს „განტევების ვაცი" დასავლეთ გერმანიაში უმუშევრობის კოლოსალური ზრდისათვის. ფიქრობენ, რომ ადენაუერს განზრახვა აქვს მეურნეობის მინისტრის პოსტზე დანიშნოს გეგმის საკითხთა ბონელი მინისტრი. მარშალი ბლიუხერი.

## ბულგარეთის სახალხო კრებამ გადაწყვიტა განიხილოს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მიმართვა

**სოფია,** 9 თებერვალი. (საკდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების სესიის დღევანდელ სხდომაზე განხილულ იქნა 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

შემდეგ სახალხო კრების ბიუროს თავმჯდომარემ ილია რადკოვმა, რომელიც სესიას თავმჯდომარეობს, წაიკითხა სახალხო კრების ბიუროში შემოსული 72 დეპუტატის წინადადება მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხის სესიაზე განხილვის შესახებ.

თავიანთ წერილში დეპუტატები სთხოვენ სახალხო კრებას განიხილოს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მიმართვა.

ჩვენ, ნათქვამია წერილში, შემოგვაქვს წინადადება, რომ სახალხო კრების ბიურომ დააყენოს საკითხი ჩვენი პარლამენტისა და დეპუტატების წინაშე იმის შესახებ, რომ მათაც გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება ამ უდიდესი მნიშვნელობის მშვიდობისმოყვარეობის ინიციატივისადმი.

## ამერიკელ მაღაროელთა გაფიცვის გამო

### ამუშავდა სასამართლო ტერორის მანქანა

**ვაშინგტონი,** 10 თებერვალი. (საკდესი). ვაშინგტონის ფედერალური სასამართლოს მოსამართლემ კიჩმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც მაღაროელთა გაერთიანებული პროფკავშირის მიერ წამოყენებულ ოთხ დიდმნიშვნელოვან მოთხოვნას ტაფტ-ჰარტლის კანონის დარღვევად აცხადებს. მოსამართლე კიჩმა დააკმაყოფილა თხოვნა შრომითი ურთიერთობის ნაციონალური სამმართველოს გენერალური მრჩევლის დენჰემისა, რომელმაც განაცხადა, რომ მაღაროელთა პროფკავშირის მოთხოვნები თითქოს იმის ცდა იყოს, რომ „აიძულონ" შახტმფლობელები — დადონ უკანონო კოლექტიური ხელშეკრულებანი.

მაგრამ კიჩის გადაწყვეტილება არ ავალებს მაღაროელებს გაფიცვის შეწყვეტას, რადგან მათ შეუძლიათ განაგრძონ გაფიცვა და მოითხოვონ ხელფასის გადიდება ამ გადაწყვეტილების დაურღვევლად. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილება ძალიან ასუსტებს გაფიცულთა პოზიციას და აქეზებს შახტმფლობელებს წინააღმდეგობა გაუწიონ მათს სამართლიან მოთხოვნებს.

მიუხედავად სასამართლო ხელისუფალთა ამ თვითნებობისა, მაღაროელთა გაერთიანებული პროფკავშირის რიგითს წევრებს კვლავ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან თავიანთი ინტერესები.

## კომუნისტების ვერაგულად მოკვლა პორტუგალიაში

**ნიუ-იორკი,** 10 თებერვალი. (საკდესი). ასოშეიტედ პრესის სააგენტოს ლისაბონელმა კორესპონდენტმა გადასცა პორტუგალიის „მცველი პოლიციის" ცნობა, რომელიც ამტკიცებს, რომ პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჟოზე მორეირა, ჩვენება რომ არ მიეცა, თითქოს საპყრობილის ფანჯრიდან გადახტა და მოკვდა.

როგორც აქ აღნიშნავენ, მორეირას თვითმკვლელობის ვერსია იმისათვის დასჭირდათ, რომ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს დაუმალონ საზიზღარი დანაშაული პორტუგალიის ხელისუფლებისა, რომლებმაც მხეცური წამებით მოკლეს მორეირა. ნამდვილად მორეირა პოლიციამ წამებით მოკლა დაკითხვის დროს. იგი პორტუგალიის კომპარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მოღვაწე იყო იმ ექვსი მუშაკიდან, რომლებიც ამის წინათ დააპატიმრა პოლიციამ მასობრივი ჩხრეკის დროს, რაც მოეწყო არალეგალურად მომუშავე კომპარტიის გასანადგურებლად.

პორტუგალიის ჯალათებმა წამებით მოკლეს აგრეთვე კომპარტიის მეორე გამოჩენილი მოღვაწე მილიტაო ბესა რიბეირა.

## სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მე-13 ტირაჟი

### ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-13 ტირაჟი შედგა ქალაქ სტალინოში 1950 წლის 30 იანვარს. მოგება ხვდა სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

| სერიის №№ | ობლიგაციის №№ | მოგებათა რაოდენობა მანეთობით | სერიის №№ | ობლიგაციის №№ | მოგებათა რაოდენობა მანეთობით | სერიის №№ | ობლიგაციის №№ | მოგებათა რაოდენობა მანეთობით | სერიის №№ | ობლიგაციის №№ | მოგებათა რაოდენობა მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 000028 | 1—50 | 400 | 026415 | 41*) | 5 000 | 051907 | 09*) | 5 000 | 077361 | 08*) | 5 000 |
| 000613 | 08*) | 5 000 | 028671 | 03*) | 5 000 | 052001 | 27*) | 50 000 | 077434 | 27*) | 50 000 |
| 000915 | 34*) | 5 000 | 030704 | 1—50 | 400 | 053327 | 1—50 | 400 | 077487 | 15*) | 5 000 |
| 001194 | 16*) | 10 000 | 031841 | 03*) | 10 000 | 053523 | 37*) | 5 000 | 077573 | 1—50 | 400 |
| 002466 | 40*) | 10 000 | 032536 | 1—50 | 1 000 | 054301 | 1—50 | 400 | 077601 | 1—50 | 400 |
| 002684 | 13*) | 10 000 | 032990 | 32*) | 5 000 | 054479 | 1—50 | 400 | 079828 | 46*) | 5 000 |
| 004199 | 50*) | 5 000 | 032995 | 22*) | 10 000 | 054865 | 1—50 | 1 000 | 081142 | 1—50 | 400 |
| 004979 | 46*) | 10 000 | 033017 | 39*) | 5 000 | 057063 | 08*) | 10 000 | 081277 | 11*) | 10 000 |
| 006057 | 1—50 | 400 | 033351 | 15*) | 5 000 | 058169 | 1—50 | 400 | 081622 | 21*) | 5 000 |
| 007649 | 1—50 | 1 000 | 033677 | 46*) | 5 000 | 058366 | 26*) | 5 000 | 082272 | 39*) | 5 000 |
| 007741 | 1—50 | 400 | 034092 | 18*) | 10 000 | 058769 | 42*) | 5 000 | 082609 | 32*) | 5 000 |
| 008069 | 1—50 | 400 | 034349 | 37*) | 10 000 | 058904 | 10*) | 5 000 | 082980 | 08*) | 5 000 |
| 008101 | 27*) | 25 000 | 034585 | 18*) | 10 000 | 059040 | 32*) | 5 000 | 083730 | 10*) | 5 000 |
| 008466 | 43*) | 25 000 | 035276 | 20*) | 5 000 | 060961 | 04*) | 5 000 | 084232 | 47*) | 5 000 |
| 009187 | 1—50 | 400 | 035537 | 1—50 | 400 | 061086 | 14*) | 5 000 | 084321 | 29*) | 5 000 |
| 009534 | 28*) | 10 000 | 036782 | 1—50 | 1 000 | 061733 | 46*) | 10 000 | 084395 | 04*) | 5 000 |
| 009869 | 1—50 | 400 | 037001 | 1—50 | 1 000 | 063267 | 10*) | 25 000 | 084944 | 41*) | 5 000 |
| 010085 | 10*) | 5 000 | 037233 | 39*) | 5 000 | 063382 | 1—50 | 400 | 086337 | 49*) | 5 000 |
| 010103 | 16*) | 5 000 | 037288 | 37*) | 25 000 | 063970 | 43*) | 25 000 | 087475 | 1—50 | 400 |
| 011450 | 14*) | 5 000 | 037301 | 39*) | 5 000 | 064068 | 35*) | 5 000 | 087619 | 04*) | 5 000 |
| 011826 | 13*) | 5 000 | 037405 | 1—50 | 400 | 064381 | 03*) | 10 000 | 087730 | 1—50 | 400 |
| 012739 | 1—50 | 400 | 038317 | 12*) | 5 000 | 065820 | 03*) | 10 000 | 087817 | 46*) | 5 000 |
| 013860 | 1—50 | 400 | 038725 | 24*) | 5 000 | 066115 | 1—50 | 400 | 087956 | 38*) | 5 000 |
| 015151 | 12*) | 10 000 | 039340 | 1—50 | 1 000 | 066652 | 1—50 | 400 | 088217 | 1—50 | 400 |
| 015437 | 33*) | 5 000 | 039858 | 1—50 | 1 000 | 066698 | 1—50 | 400 | 088458 | 1—50 | 1 000 |
| 015945 | 46*) | 5 000 | 039979 | 31*) | 5 000 | 066728 | 49*) | 10 000 | 089367 | 1—50 | 400 |
| 017045 | 34*) | 5 000 | 040145 | 35*) | 10 000 | 069432 | 33*) | 5 000 | 090016 | 1—50 | 400 |
| 017986 | 1—50 | 400 | 040293 | 42*) | 5 000 | 069551 | 1—50 | 400 | 090172 | 1—50 | 400 |
| 017996 | 35*) | 5 000 | 040989 | 1—50 | 1 000 | 069965 | 50*) | 5 000 | 091577 | 02*) | 5 000 |
| 018051 | 25*) | 5 000 | 041839 | 32*) | 5 000 | 069992 | 1—50 | 400 | 091644 | 09*) | 5 000 |
| 018243 | 1—50 | 400 | 043775 | 1—50 | 1 000 | 070178 | 1—50 | 400 | 091825 | 1—50 | 400 |
| 018263 | 47*) | 5 000 | 044095 | 20*) | 10 000 | 070691 | 13*) | 5 000 | 093005 | 41*) | 5 000 |
| 019406 | 02*) | 10 000 | 044655 | 46*) | 5 000 | 071484 | 18*) | 10 000 | 093124 | 1—50 | 1 000 |
| 021682 | 48*) | 5 000 | 045032 | 1—50 | 400 | 071662 | 1—50 | 400 | 093496 | 1—50 | 400 |
| 021718 | 19*) | 5 000 | 046501 | 26*) | 5 000 | 072254 | 10*) | 5 000 | 094242 | 1—50 | 1 000 |
| 022162 | 48*) | 5 000 | 047172 | 1—50 | 1 000 | 072397 | 22*) | 5 000 | 094547 | 15*) | 10 000 |
| 022189 | 1—50 | 400 | 048789 | 27*) | 5 000 | 072626 | 30*) | 5 000 | 094857 | 28*) | 5 000 |
| 022238 | 12*) | 5 000 | 048915 | 49*) | 10 000 | 072767 | 1—50 | 1 000 | 095912 | 29*) | 5 000 |
| 022729 | 19*) | 5 000 | 049142 | 40*) | 5 000 | 075060 | 38*) | 5 000 | 097624 | 37*) | 10 000 |
| 023809 | 1—50 | 400 | 049805 | 13*) | 5 000 | 075235 | 1—50 | 400 | 099149 | 20*) | 5 000 |
| 024201 | 02*) | 10 000 | 051041 | 25*) | 5 000 | 075276 | 48*) | 5 000 | 099621 | 42*) | 5 000 |
| 025061 | 1—50 | 400 | 051050 | 44*) | 5 000 | 075505 | 1—50 | 400 | | | |
| 025855 | 30*) | 5 000 | 051732 | 1—50 | 400 | 076147 | 1—50 | 400 | | | |

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 400 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — მშრომელთა დეპუტატების სტალინოს საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **გ. პ. ეფიმენკო**

თავმჯდომარის მოადგილეები:

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის მთავარი სამმართველოს სექტორის უფროსი **ვ. ვ. მოლოკოსსი**

მშრომელთა დეპუტატების სტალინოს საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ფ. ი. ბულგაკოვი**

კიროვის სახელობის ქარხნის საბრძმედე საამქროს ობეროსტატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ი. გ. კოროვოვი**

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ქვანახშირის მანქანათმშენებლობის სახელმწიფო საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის დონეცის ფილიალის დირექტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი **ა. ი. ბაშკოვი**

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი, საფინანსო სამსახურის მრჩეველი **ლ. ა. ვასილიევა**

# ხ ა ნ დ ე

### (დასასრული)

სახლს მივუახლოვდი, ძაღლის გაბმული წკავწკავი შემომესმა. ყურშა სახლის უკანა აივნის სვეტზე მიება დედა ქეთევანს. ჯაჭვი ავხსენი და ახლა ორივენი გამოვექანდით სირბილით. როგორც კი ჩვენი სოფლის ხალხი დაინახა, მხიარული წკმუტუნი მორთო და მერე ისე იმძლავრა, რომ ხელიდან გამისხლტა, კისრისტეხით გაქანდა პატრონისაკენ, ფეხებში ჩაუვარდა...

ვიარეთ, ვიარეთ და ახალ შეღამებულზე შემოვაღწიეთ ჩვენს ახალ სოფელში.

* * *

უკვე მეხუთე წელია, რაც ამ ახალ მიწაზე ვსახლობთ.

დიდებული სანახავია ჩვენი სოფელი. არა, მას ოდნავაც ვერ შეედრება ჩვენი უწინდელი სოფელი! იქ, იმ ძველ სოფელში ზაფხულობით დაიწრიტებოდა ჩვენი მთის მდინარე და საფქვავი მეზობელ სოფელში დაგვქონდა. აქ კი ელექტრონის წისქვილი გვაქვს! ნუ მიწყენთ და მე ეს საქმე ყველაზე უფრო მომწონს, რადგან ოჯახში ერთადერთი ვაჟი ვარ და საფქვავზე ზრუნვა ჩემი საქმეა.

იმ ჩვენს ძველ სოფელში ზოგს მიწური სახლი ედგა, ზოგს ოდა და ზოგსაც, დამერწმუნეთ, ფაცხა! აქ ყველას ერთნაირი ოდასახლი გვიდგას, მაღალ ბოძებზე შეყენებული და კრამიტით გადახურული. ღამითაც ელვარებენ ჩვენი სახლები ელექტრონის შუქით გაჩირაღდნებული. მე ბებია ცოცხალი მყავს და იგი ყოველდღე ლოცავს ჩვენს აქ დამსახლებელს: არ მიყვარს, მახარია, ღამის სიბნელე, ბნელ ღამეში წყვდიადივით ჩანს მთელი ქვეყანა, მომეტებული ფიქრი და დარდი იცისო ბნელმა ღამემ;

მართალია აქ ისეთი ასწლოვანი და ნამეხარი ცაცხვი არ გვიდგას, მაგრამ ჩინებული მოედანი გვაქვს. მთელი სოფელი დაგვეხმარა და ახალგაზრდებმა შემოვღობეთ ეს მოედანი. ღობე ორმაგია და მთელი მოედანი შემორგულია ცაცხვის, კედრისა და ჭადრის ნორჩი ხეებით. ლელოსაც ვთამაშობთ და ფეხბურთსაც, ოღონდ ჩვენი ფეხბურთის გუნდს ასეთი პირობა აქვს დადებული: მხოლოდ იმ სოფელში წავა სათამაშოდ, რომლის გუნდსაც მისთვის მოუგია; ტრაბახად ნუ ჩამომართმევთ და ჩვენი გუნდი ისეთი ძლიერია, რომ იშვიათად უხდება სხვის მოედანზე თამაში...

ჩვენი კოლმეურნეობის კანტორას ზედასართულზე ერთი დიდი დარბაზი აქვს, საღამოობით აქ ვიკრიბებით, კინოსურათს გვიჩვენებენ, ქალაქიდან ჩამოდიან მომხსენებლები და მსახიობები. ჩვენი კოლმეურნეობის მომღერალთა გუნდიც ხშირად მართავს კონცერტს; ჩვენი მოცეკვავენი — კი განთქმული არიან მთელს რაიონში.

ახლა მთავარს მოგახსენებთ:

ამ უკანასკნელ ორ წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ თამბაქოსა და სიმინდის უხვი მოსავალი მოიყვანა და მთელ საქართველოში გაითქვა სახელი. თექვსმეტი სოციალისტური შრომის გმირი გვყავს კოლმეურნეობაში. ჩვენი კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი და მთავარი აგრონომი ხანდე შრომის გმირია! პირადად მან მოაწყო თამბაქოს სანერგე, ყოველ ბრიგადასა და რგოლს ეხმარებოდა ხანდე, ახლა თავის მეუღლესთან ერთად ციტრუსების სანერგეს დასტრიალებს თავს,—თამარი ამ საქმის ოსტატია და გვარწმუნებს, რომ ჩვენს სოფელში საუცხოოდ გაიხარებს ლიმონი და ფორთოხალი. ჩვენს ეზოებში რომ ხეხილია გაშენებული, ესეც ხანდეს დახმარებითაა. იგი ყოველთვის ახალ-ახალ საქმეს გამოიგონებს ხოლმე: შარშან ჩვენი სოფლის ბოლოში, თამბაქოს პლანტაციის გვერდით, ხეხილის ბაღის გაშენება დაიწყო; სოფლის გზების ორივე მხარეზე ნორჩი კაკლის ხეებია ჩამწკრივებული — ესეც ხანდემ ითავა და ამის გამო უყვარს ის მთელ სოფელს ასე ძლიერ.

* * *

აქ დასახლების პირველსავე წელს ნათელი გახდა, რომ ჩვენი კანტორის ეს დიდი დარბაზიც პატარა იყო ჩვენი სოფლისათვის. როდესაც საინტერესო საღამო-კონცერტი იმართებოდა—გოგონები და ბიჭები ფანჯრების თაროებზე იყვნენ ჩამოსკუპებული, მამაკაცები ხომ ყველა ფეხზე ვიდექით პირწმინდათ; მხოლოდ ქალების ნაწილს ჰყოფნიდა სკამები. და აი, ორი წლის წინათ დავიწყეთ დიდი საკოლმეურნეო კლუბის აგება და დღეისათვის უკვე დავამთავრეთ.

კლუბი სოფლის შუაგულშია წამოჭიმული. მისი მთავარი დარბაზი ექვსას კაცს იტევს. მე არ აგიწერთ ჩვენი კლუბის სილამაზესა და მორთულობას, ის ისეთი კარგია, რომ დარწმუნებული ვარ უსათუოდ ჩამოხვალთ მის სანახავად და მერწმუნეთ, დიდათ კმაყოფილი დარჩებით.

უკვე კარგახანია ყველაფერი მზად იყო, ძხოლოდ სკამები არ გვქონდა მთავარი დარბაზისათვის და აი, რამდენიმე დღის წინათ გიორგიმ და ხანდემ ძარელისიდან ჩამოიტანეს ექვსასი შინდისფერი სკამი.—და სწორედ დღეს ჩვენი კლუბის საზეიმო გახსნაა.

თებერვალია. ყველა ოდა-სახლის ბუხრიდან კვამლი ამოდის, გაჩირაღდნებულია ჩვენი სახლები; კლუბის წინამხარე ალისფერი დროშებითა და ცოცხალი ყვავილებითაა მორთული,—სცენის სიღრმეში აღმართულია ჩვენი საყვარელი ბელადის დიდი სურათი.

...ჩვენი კოლმეურნე ქალები, ჩვენი მოხუცი კოლმეურნენი, ჩვენი გოგონები და ბიჭები მოდიან კლუბში. აგერ დედა ქეთევანი, თამარი და ლევანიც!

დარბაზი გაიჭედა ხალხით. მთელი სოფელი აქაა თავმოყრილი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი და პარტორგანიზაციის მდივანი ხანდეც მოვიდნენ.

უჩვეულო ზეიმია ჩვენს სოფელში. დღეს ჩვენ ვასახელებთ ჩვენს კანდიდატს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოში.

აი, გიორგიმ გახსნა კრება და სიტყვა მისცა ხანდეს. იგი დინჯად მივიდა ტრიბუნასთან, დარბაზი შეათვალიერა და მჭექარე ხმით დაიწყო:

— ყველამ იცით, ამხანაგებო, თუ ვინ დაგვაფუძნა ამ ახალ მიწაზე, ვინ აამაღლა ჩვენი სახლის ჭერი, ვინ დაამარცხა ბოროტი და ხალხს მშვიდობა დაუმკვიდრა, ვისი თვალიც სდარაჯობს ჩვენს სამშობლოს, ვისაც ჩვენი ტკივილი სტკიოდა და ჩვენი სიხარული უხარია! იცით ყველამ, იცით და მე თქვენი სახელით შევძახებ —

— ჩვენი ახალი სოფელი ჩვენს ბელადს ასახელებს პირველ კანდიდატად, სიცოცხლე და გამარჯვება ჩვენს ბელადს!

და ისეთმა ტაშმა იხუვლა, მეგონა ჭერი ჩამოინგრეოდა.

ქუხდა ჩვენი ახალი კლუბის დიდი დარბაზი.

ლევანი ხელიდან გაუსხლტა ბებიას და ხანდესაკენ გაქანდა, ხანდემ ხელში აიტაცა შვილი... შესცქეროს დედა ქეთევანი გიორგის, ხანდესა და ლევანს, შესცქეროს ამ აღელვებულ და გულგახალისებულ ხალხს, იმზირება სცენის სიღრმეში და გულში ილოცება:

— შენ გაიხარე ბელადო, შენ გაიხარე!

**ალიო ადამია**

## თეატრებში

**12 თებერვალს:** ოპერისა და ბალეტის — „გორდა" (დილით), „ოტელო" (მე-12 აბ. მერვე სპექტაკლი, საღამოს); **რუსთაველის სახელობის** — „ამერიკის ხმა" (დილით და საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — „მოძღვარი" (დილით და საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის**— „ჩაძირული ქვები" (დილით), „მოსკოვური ხასიათი" (საღამოს); **სომხური თეატრი**—„კინტო" (მოსწავლეთა მე-16 აბ., დილით), „ოტელო" (საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — „არსენა ოძელაშვილი" (დილით), „ბაიადერა" (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „თამარის ბაქანი" (40 აბ. 11 ს.), „სიჭაბუკე ბელადისა" (2, 8 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „გაქცევა" (101 აბ. 10 ს.), „ავაზაკები" (104 აბ. 2 ს. და 8 ს.).

## ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება ორშაბათს, 13 თებერვალს, საღამოს 8 საათზე მასწავლებლის სახლში (ფურცლაძის № 3) აწყობს დოცენტ ი. მიქაძის ლექციას **„საბჭოთა დეპუტატი ხალხის მსახურია"**.

აქვე 17 თებერვალს საღამოს 8 საათზე პროფესორი ა. ბარამიძე წაიკითხავს ლექციას თემაზე: **„ნიკო მარი—ქართული მწერლობის მკვლევარი"**.

ბილეთები იყიდება სალაროში.

პასუხისმგებელი რედაქტორი **გ. ნანიტაშვილი**

**სიცოცხლის შერეული დაზღვევა**

ყოველ მშრომელს შეუძლია უზრუნველყოს თავისი თავი და ოჯახი, თუ სახელმწიფო დაზღვევაში სიცოცხლეს დაიზღვევს შერეული დაზღვევის წესით.

შერეული დაზღვევის წესით სიცოცხლის დაზღვევისას სახელმწიფო დაზღვევა სადაზღვევო თანხას უხდის:

ა) თვითონ დაზღვეულს, თუ იგი იცოცხლებს დაზღვევის ვადის გასვლამდე და უბედური შემთხვევით გამოწვეული ინვალიდობის შემთხვევაში.

ბ) ოჯახს და მახლობელთ, თუ დაზღვეული გარდაიცვალა დაზღვევის ვადის გასვლამდე.

**დაზღვეულს ეძლევა შემდეგი შეღავათი:**

1. თუ დაზღვეულმა შრომის უნარი 50%-ზე მეტი ოდენობით დაკარგა, იგი სრულიად თავისუფლდება დაზღვევის შესატანის შემდგომ გადახდისაგან.

2. თუ შრომის უნარი დაკარგულია 30-დან 50%-მდე, დაზღვევის შესატანის განაკვეთი სანახევროდ მცირდება.

**დაიზღვიეთ სიცოცხლე შერეული დაზღვევის წესით.**

**დაზღვევის ხელშეკრულების გასაფორმებლად მიმართეთ სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციებს ან დაზღვევის აგენტებს.**

თ. სირაძე, ე. ბაკურაძე, თ. სიხარულიძე, თ. დეკანოსიძე, ლ. კვაჭაძე, გ. კახიძე, დ. ბაქრაძე, შ. მაჭავარიანი, მ. თაბუკაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ თ. ბურჯანაძეს მისი მამის **ირაკლი ბურჯანაძის** გარდაცვალების გამო.

მშობლები ვარინკა, გრიშა, და ლია, ძმა გელა, ბებია სონა, მამიდა ელენე იუწყებიან **გივი გრიგოლის-ძე ლეჟავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14, 15-II, 7 ს. გამოსვენება 16-II, 5 ს. ტრამვაის, 12.

შ. ხუნდაძე, ქ. გერსამია, ქ. კაციტაძე, დ. ჭიპაშვილი, ზ. ჯახაია, პ. გაფრინდაშვილი, ვლ. ფანიაშვილი, ე. გოდერძიშვილი, რ. მახაშვილი, ქ. ჩხეტია, დ. ჩხოლარია, გრ. ქუთათელაძე, ნ. ქოიავა, ნ. ჩიხლაძე, მ. ქისტაური, ო. ზუმბულიძე, ქ. ხუროძე, ლ. საგანელიძე, ი. ცოტაძე, ტ. სურმავა, გრ. დოლიძე თანაგრძნობას უცხადებენ ა. მინდაძეს მისი დედის **დომნას** გარდაცვალების გამო.

ამიერკავკასიის სამთო-ტექნიკური ინსპექციის თანამშრომლები იუწყებიან **სერგო დავითის-ძე ჩარკვიანის** გარდაცვალებას.

ი. გაგუა, ა. კალანდაძე, ა. მეძველია, გ. გეგელაშვილი, გ. მარკოზაშვილი, მ. მენაღარიშვილი, თ. წიქორიძე, ე. ხაინდრავა, ვ. მეჩიტაშვილი, ს. ნაკაიძე, ე. გაბელაია, ა. გურგენიძე, ვ. არზიანი, გ. კირაკოზოვი, რ. გეტაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ა. საყვარელიძე თანაგრძნობას უცხადებენ დოცენტ ლ. მინდაძეს მისი დედის **დომნა მინდაძის** გარდაცვალების გამო.

თამარ ბექანიშვილი და პეტრე გელბახიანი თანაგრძნობას უცხადებენ ა. მინდაძეს მისი დედის **დომნას** გარდაცვალების გამო.

შალვა, ალექსანდრა, შუშანა, თალიკო, ბაბუცა, ვენერა, თინა ლორთქიფანიძეები, დორე ხონელიძე, დუშა და გოგი მელალიშვილები, ტატულია ჩიჩიბაია იუწყებიან დეიდის **პაშა ანდრონიკეს ასულ ნორაკიძის** გარდაცვალებას.

მშობლები ლუბა, დავით, და ელენე, მეუღლე თამარ ესაიაშვილი იუწყებიან ინჟინერ **სერგო დავითის-ძე ჩარკვიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. გამოსვენება 16-II, 5 ს. სანაპიროს, 9.

მეუღლე ნატალია, და ნინო, ცოლისდა სონია შვილებით, ცოლისძმები შაქრო, ვანო შვილებით თამარ, ლევან გოგელაურები იუწყებიან **სერგო ნიკოლოზის-ძე იხაკოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12-II, 7 ს. გამოსვენება 14-II, 3 ს. გოგოლევის, 38.

შვილები სონია, მარო, ელენე, გოგი, შვილიშვილები ლილი, ავთანდილ, სიძე ვასო კიკაჩეიშვილი იუწყებიან **დარეჯან წყალობის ასულ წვერიკმაზაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-II, 8 ს. გამოსვენება 14-II, 5 ს. კლარა ცეტკინის, 16.

მამა მიშა, მეუღლე ლილი, შვილი მარი, დები ცაცა, მედეა, ძმა გივი ჰეიშვილები, სიდედრი კლარა თავაძე, სიძე ნიკოლოზ, დისწული ლალი ქათამაძეები იუწყებიან **ხაშა მიხეილის-ძე ჰეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-II, ქ. ქუთაისში, კიროვის, 86.

ძმები გიორგი, ვანო, რძლები ნინო, მარიამ, ძმისწულები ელეონორა, ლიანა, მაყვალა, გივი, ნუნუ იუწყებიან **შალვა ყარამანის-ძე ხაბურზანიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-II, 8 ს. გამოსვენება 14-II, 5 ს. სასამართლოს, 38.

ვალენტინა, მიხეილ, შურა, ეთერ ჟღენტები, რძლები ალექსანდრა, თამარ, სიძეები ვანო ცერცვაძე, კაკო ქვანია იუწყებიან დეიდაშვილის **შალვა ყარამანის-ძე ხაბურზანიას** გარდაცვალებას.

გ. ქომეთიანი, რ. ნიკოლაძე, ვ. კაკაბაძე, გ. წულუკიძე, ბ. კანდელაკი, მ. ერისთავი, შ. ზაალიშვილი, ი. ბაცანაძე, ა. ფიცხელაური, ს. ძიძაძე, ვ. ყიფშიძე, გ. გედევანიშვილი, მ. ხანანაშვილი იუწყებიან **ირაკლი პავლეს-ძე ბურჯანაძის** გარდაცვალებას.

ბესარიონ, ივანე, მარიკა, ნინო, დავით კაჭარავები იუწყებიან **მამანტი თეოფანეს-ძე კაჭარავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-II, 7 ს. გამოსვენება 12-II, 2 ს. ჯაფარიძის, 8.

შვილი მიხეილ, რძალი ქეთო, შვილიშვილები კარლო, ნათელა, ლეილა ჯანელიძეები იუწყებიან **ეკატერინე ქუთუს ასულ ჯანელიძე-კვარაცხელიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-II, 5 ს. ქ. ცხაკაიაში, გრიშაშვილის, 12.

მარგო, დოროთე შამათავები, მოლია, მელენტი კუკავები, ცაცა და მიხეილ ლაგვილავები თანაგრძნობას უცხადებენ ა. ცომაიას მისი დედის **ქსენიას** გარდაცვალების გამო.

ვ. ურუშაძე, გ. ბახტაძე, ე. ფრანგიშვილი, შ. ბერიძე, წ. პულუზოვი, გ. ცქიტიშვილი, ვ. ვაშაკიძე, ს. ნიჟარაძე თანაგრძნობას უცხადებენ ქ. დგებუაძეს მისი მეუღლის **მამანტი თეოფანეს-ძე კაჭარავას** გარდაცვალების გამო.

პაშა, დიდიკო, ლიზა იაშვილები, ცაცა, მიშა ლოლობერიძეები, ნადია, კაკო, დიდიმა, ნუნუ დათუაშვილები იუწყებიან ინჟინერ **ხაშა მიხეილის-ძე ჰეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-II, ქ. ქუთაისში.

საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექცია და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მ. რჩეულიშვილს მისი მამიდის **ანასტასია მიხეილის ასულ რჩეულიშვილის** გარდაცვალების გამო.



ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უთ 00117